N13-090

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 8 თებერვალი 1995 № 5 (143) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

## რუსებს ძალიან მოვნატრებივართ

### ესენგეს ჩემპიონატი ?! ესლა გვაკლდა და იქნებ ამასაც მოვესწროთ

29 იანვრიდან 4 თებერვლამდე მოსკოვის სამ სპორტკომპლექსში ჩატარდა თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის მესამე გათამაშება საბჭოთაყოფილი ქვეყნების 15-ივე ჩემპიონის (ზოგიერთი ქვეყნის მეორე პრიზიორი გახლდათ) და უკონკურსოდ მოასპარეზე რუსეთის ოლიმპიური ნაკრების მონაწილეობით. თბილისის „დინამო" ზედიზედ მესამედ გამოდიოდა ამ ტურნირში. წინა ორში ჩვენებმა ნახევარფინალის ბარიერი ვერ გადალახეს, ასე რომ, საინტერესო იყო, მესამეში მაინც თუ შედგებოდა მოსკოვის „სპარტაკისა" და „დინამოს" ფინალური მატჩი, რომელსაც ყველა დიდი ინტერესით ელოდა. „დინამო" ტურნირის წინა დღეს ჩაფრინდა მოსკოვში, მაშინ, როცა სხვა გუნდები დიდი ხნის ჩასულები იყვნენ იქ და სერიოზულადაც ემზადებოდნენ. „დინამომ" თავის ჯგუფში პირველი მატჩი გამართა რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებთან, რომელმაც საგანგებოდ ამ მატჩისთვის „სპარტაკისაგან" ითხოვა მეკარე ნიგმატულინი და ნახევარმცველი კეჩინოვი. გარდა ამისა, რუსეთის ოლიმპიელთა შორის ვიხილეთ საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები: კლიუევი (იგი ამასწინათ როტერდამის „ფეიენოორდმა" შეიძინა), მაშკარინი, ფაიზულინი და სხვები. ძალიან საინტერესოდ დაწყებული შეხვედრის პირველსავე წუთებზე თბილისელებმა სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან, მესამე წუთზე კი ანჩაბაძემ გარღვევაზე გაიყვანა ყაველაშვილი, რომელმაც პირდაპირ ცხრიანში გააგზავნა ბურთი. დინამოელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები, მე-9 წუთზე ჯამარაულმა და ქინქლაძემ მოკლე პასებით გადაკვეთეს ნახევარი მოედანი და ქინქლაძის დარტყმის შემდეგ ნიგმატულინმა მეორედ გამოიტანა ბურთი კარიდან, ამის შემდეგ ჩვენებმა ყურადღება მოადუნეს და მომდევნო 9 წუთში ორი ბურთიც გაუშვეს: ჯერ მე-14 წუთზე ნეკრასოვისგან, მე-18-ზე კი კლიუევისგან. ტაიმის დარჩენილი დრო ორმხრივ იერიშებში ილეოდა, დროდადრო დინამოელები გაიბრწყინებდნენ ხოლმე და აკი ამას შედეგიც მოჰყვა – 38-ე წუთზე ჯარიმიდან ლობჟანიძის მიერ ჩაწოდებულ ბურთს ყაველაშვილმა მეკარის მოედანზე ოდნავ შეუცვალა მიმართულება და ჩვენები დაწინაურდნენ – 3:2.

მეორე ტაიმში „დინამოს" მწვრთნელმა ნახევარი გუნდი შეცვალა, ოლიმპიელებმაც შედარებით ამოისუნთქეს და საკმაოდ მწვავედაც შეგვიტიეს, თუმცა ჩვენებმაც რამდენჯერმე გამოიღეს ხელი და მე-80 წუთზე ჯამარაულის რეიდი მეოთხე გოლით დასრულდა. ჩემი აზრით, თბილისელთა მიერ აქ გამართული მატჩებიდან ეს შეხვედრა ყველაზე უკეთესი იყო. რუსეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში სერგო კუტივაძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩის შედეგი არაფერს იძლეოდა, პრესტიჟის დაცვა აუცილებელი იყო. დინამოელთა მომდევნო მეტოქე ჩვენთვის კარგად ნაცნობი კიშინიოვის „ზიმბრუ" იყო, გუნდი, რომლის ძირითადი ბირთვი მოლდოვას ნაკრების ღირსებას იცავს. პირველი ტაიმი საქართველო – მოლდოვას სექტემბერში გამართული შეხვედრის მსგავსად წარიმართა: უპირატესობას ჩვენები ფლობდნენ, მეტოქე მთელი გუნდით იცავდა თავს და სახიფათო კონტრშეტევებსაც ანხორციელებდა. დაძაბული პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მოიგებდა ის გუნდი, რომელიც ანგარიშს გახსნიდა. ასეც მოხდა: 47-ე წუთზე ყაველაშვილი შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ანგარიშიც გაიხსნა. ამის შემდეგ მატჩი კიდევ უფრო ლაიძაბა, „ზიმბრუ"



კვლავ მთელი გუნდით დაცვაში იდგა, მაგრამ ძალზე სახიფათო კონტრიერიშებზეც გადმოდიოდა. 58-ე წუთზე ისევ იმარჯვა ყაველაშვილმა, რომელმაც მოედნის ცენტრში თავით აართვა ბურთი მეტოქეს, გავიდა მეკარესთან პირისპირ, ისიც მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. „ზიმბრუ" ამან აშკარად მოტეხა და თამაშიც უფრო ჩაწყნარდა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღო ანჩაბაძემ, რომელსაც... მოურგებელმა ფეხსაცმელმა ფეხი გადაუყვლიფა და ამ მიზეზით მომდევნო მატჩიც გამოტოვა.

მესამე შეხვედრის წინ თბილისელთა სატურნირო მდგომარეობა საკმაოდ ხელსაყრელი იყო – ჯგუფში ბოლო შეხვედრაში ფრეც ჰყოფნიდათ ყაზახეთის ჩემპიონ „ელიმაისთან", რომელმაც წინა დღეს რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებთან ძირითადი შემადგენლობის ნახევარი დაასვენა და „დინამოსთან" მოგების შემთხვევაში თა-

იხილეთ მეორე გვერდი

## დევაძე გადარჩა, სამეული ესპანელებს გაესინჯება

ეროვნული ნაკრების და თბილისის „შევარდენის" მეკარეს აკაკი დევაძეს ვოლგოგრადის „როტორთან" ერთად გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფს ერთ-ერთ ვარჯიშისას ტვინი შეერყა. იგი თბილისს გამოეშურა, მაგრამ აეროპორტიდან მომავალს კვლავ ხიფათი შეემთხვა – ავტოავარიაში მოჰყვა, თუმცა საბედნიეროდ იოლად გადაურჩა განსაცდელს. ტრავმამ დევაძის კონტრაქტის საკითხი გაართულა. იგი ამჟამად კვლავ „შევარდენში" ირიცხება და, როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ გვაცნობა, შესაძლოა როსტოვსაც გაემგზავროს.

გელა კეტაშვილი მოსკოვის „ახმარალში" ემზადება და მალე გაირკვევა დარჩება თუ არა ამ კლუბში.

რუსულ პრესაში გამოჩნდა ცნობა, ოთარ კორღალიძე ბაქოს „ნეფთჩში" გადადისო. თბილისში დაბრუნებისთანავე დავუკავშირდით ოთარს, რომელმაც გვაცნობა: „ელიმაისთან" 4:1-ზე მოგებული მატჩის შემდეგ ჩემთან მოვიდა „ნეფთჩის" პრეზიდენტი რასიმ რაფიევი და ამ კლუბში ექვსი თვით გადასვლა შემომთავაზა. 8 თებერვალს მივემგზავრები ბაქოს, 12-ში ჩემპიონატის მეორე წრე იწყება, „ნეფთჩი" პირველ ადგილზეა და თუ ჩემპიონობა მოიპოვა, შესაძლოა, კონტრაქტი კიდევ გაგრძელდეს. ამ ექვსთვიან კონტრაქტს ალბათ ხელს მოვაწერ.

რაც შეეხება „დინამოს" წამყვან სამეულს – ქინქლაძე-ყაველაშვილ-ჯამარაულს, ისინი მალე გაემგზავრებიან ესპანეთს. თუ რომელ კლუბებში გასინჯავენ მათ, ჯერჯერობით უცნობია.

## ბობ უოლში გვპირდება...

„ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ატლანტის ოლიმპიადაზე, ჯორჯიის შტატში, ჯორჯიელებმა კარგი გუნდი ჩამოიყვანოთ. ეს არა მხოლოდ სპორტსმენებისთვის, ხალხისთვისაც ჩინებული იქნება, მითუმეტეს, თქვენთვის ასეთ მძიმე პერიოდში" – განაცხადა ბობ უოლშმა საქართველოს დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას. აქვე შევნიშნავთ, რომ ბატონმა ბობმა ერთ წამში დაამსხვრია ჩვენში ბოლო დროს დამკვიდრებული სტერეოტიპი, აქაოდა, ამერიკელებმა სიგარეტი მოიძულესო, როცა შუა საუბარში ჭიქა ვისკის შემდეგ გემრიელად გააბოლა.

ბობ უოლში ცნობილი ბიზნესმენი და პოპულარული სპორტული მოღვაწეა. სწორედ იგი იყო ტედ ტერნერის კომპანიონი „კეთილი ნების თამაშების" დაფუძნებასა და ორგანიზებაში, გახლდათ ამ თამაშების გენერალური მენეჯერიც. უოლში რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე მეორედ ჩამოვიდა თბილისში. მისი სამუშაო დღე ერთობ გადატვირთული იყო ვიზიტებით: სახელმწიფოს მეთაურთან, პრემიერ-მინისტრთან, სხვადასხვა ქალაქების მერებთან და ა.შ.თუმცალა, ამ კაცმა გამონახა დრო და სპორტის დეპარტამენტში მოწყობილ შეხვედრაზე მაინც მოვიდა.

საქართველოს სპორტის ისტორიისა და დღევანდელი პოტენციალის გაცნობის შემდეგ უოლში პირდაპირ საქმეზე გადავიდა და იკითხ: ატლანტაში რამდენი სპორტსმენის გამოგზავნას გეგმავთ და ეს რა გიჯდებათო. გაირკვა, რომ ატლანტაში მივლენილ სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა 50 იქნება (თუკი ფეხბურთელები წარმატებით გაივლიან შესარჩევ ეტაპს). საწვრთნელი პროცესის გაუთვალისწინებლად, მათი მგზავრობის, ეკიპირების, დაზღვევისა და კვებისთვის დაახლოებით 300-350 ათასი დოლარია საჭირო. მასპინძლებმა ისიც მოახსენეს, რომ ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში ბავშვთა ხალხური ცეკვის ანსამბლის ჩართვა სურთ. ეს მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია და თამაშების ორგკომიტეტთან ამის თაობაზე მოლაპარაკებას უკვე ვაწარმოებთო.

უოლშს ისიც აცნობეს, რომ ამერიკაში უკვე მოღვაწეობს სეოკ-ის სრულუფლებიანი ელჩი, ქალაქ ბოლ-გრაუნდის მერი კევინ ჰილი. უოლში დაინტერესდა ამ კაცის საქმიანობით, ჩაიწერა მისი კოორდინატები და დაგვპირდა, ამერიკაში ჩასვლისთანავე დავუკავშირდები და იქნებ ერთობლივად ვიმოქმედოთო.

ბატონ ბობს კონკრეტულად არ უთქვამს, რა დახმარებას გაუწევს იგი საქართველოს დელეგაციას. მისივე სიტყვებით, დაახლოებით 30-35 დღის შემდეგ დაბრუნდება საქართველოში და ჩვენი სპორტის თავკაცებთან შეათანხმებს ოლიმპიური გუნდის მგზავრობისა და ეკიპირების საკითხს. გავიმეორებთ, რომ ეს ყველაფერი ჯერჯერობით დაპირების დონეზეა.

სტუმარი დაინტერესდა, ხომ არ არის საქართველოში ისეთი სპორტსმენი, რომელიც უცხოეთში მკურნალობას საჭიროებსო. მოახსენეს, რომ ქართველი აკრობატი, მსოფლიოს თასის მფლობელი ჯონდო მარიდაშვილი ტრავმის გამო მრავალი წელია ლოგინსაა მიჯაჭვული. მას ხერხემლის მალა დაუზიანდა და მკურნალო-



ბა-რეაბილიტაციის კურსის გავლა სჭირდება. უოლშმა მოითხოვა დოკუმენტები, ავადმყოფობის ისტორია „ნოუ პრობლემო" – დასძინა. შემდეგი ჩამოსვლისას სპორტსმენს ამერიკაში წავიყვან და კარგ კლინიკაში კარგ ექიმს ჩავაბარებო.

აი, ასეთი დაპირებებით დაგვემშვიდობა ბობ უოლში. კონკრეტულ საკითხებს კი ალბათ მისი ხელმეორე ჩამოსვლისას მოეფინება ნათელი. ამასობაში კი საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა: ოლიმპიური გუნდის 6 კანდიდატი წელიწადნახევრით დააზღვია კომპანია „კურაციოში". მსროლელ ნინო სალუქვაძეს, ძალოსან მუხრან გოგიას, ძიუდოისტ ივერი ჯიქურაულს, მოჭიდავე ბაკურ გოგიტიძეს, მოკრივე გიორგი კანდელაკს და ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძეს ამიერიდან სრული სადაზღვევო პოლისი ექნებათ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. დაზღვევის საერთო თანხა 6 ათასი დოლარია.

## ჩემპიონატი 10 მარტს განახლდება

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, თუმცა რამდენი გუნდი გააგრძელებს ასპარეზობას, ჯერ კიდევ დაუდგენელია. „თბილისს" გადარჩენის ბოლო იმედი გაუჩნდა და თავისი ბედის ამბავს დღე-დღეზე შეიტყობს. რაც შეეხება „მერანს" მისი წარმომადგენელი ფედერაციაში არც გამოჩენილა და არც ხმა მიუწვდენია. ყველა კლუბს 20 თებერვლამდე აქვს ვადა თუ იქამდე ჩემპიონატში მონაწილეობის დასტური არ გაგზავნეს, ავტომატურად მოიხსნებიან შეჯიბრებიდან.

ფედერციას დადგენილი აქვს რეგლამენტის შეცვლაც. თუ ადრე ასპარეზობა ჯერ პირველ ქვეჯგუფში იმართებოდა, ხოლო რამდენიმე დღეში მეორეში, ამჯერად ორივენი ერთდროულად ითამაშებენ. ეს თურმე დროის მოსაგებად და ნაკრები გუნდებისთვის მზადების პერიოდის გასახანგრძლივებლად კეთდება.

ფედერაციამ ისიც დაადგინა, რომ თუ რომელიმე გუნდი დაიშლება, მისი შედეგები გაუქმდება, ხოლო მოთამაშეებს სხვა კლუბებში გადასვლის ნება მიეცემათ.

და ბოლოს, თითქმის გადაწყდა საქართველოს ნაკრების ისრაელში გამგზავრების საკითხი. მოსაგვარებელია რამდენიმე ფორმალური წვრილმანი, რომელთა დაძლევა სიძნელეს არ წარმოადგენს. ჩვენი გუნდი 23 თებერვალს გაემგზავრება აღთქმულ მიწაზე, 25-ში კი პირველ თამაშს გამართავს. ნაკრები ვარჯიშებს 13 თებერვალს იწყებს.

## შინიდან ვინ რას გამოგვატანს

4-5 თებერვალს საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი გამართა ვილნიუსში ლიტვის ნაკრებთან. პირველ მატჩში ჩვენები 9:22 დამარცხდნენ. 25-ე წუთისთვის მასპინძლები ერთი ბურთით ყოფილან წინ – 5:4, მაგრამ ტაიმის ბოლო 5 წუთში ექვსი ბურთი გაუტანიათ, სამაგიეროდ, ქართველებმა ოთხი 7-მეტრიანი გააცუდეს და დიდი სხვაობითაც დამარცხდნენ.

მეორე მატჩის 26-ე წუთზე ანგარიში კვლავ 5:4 ყოფილა ლიტველთა სასარგებლოდ, ტაიმიც მათ მოუგიათ 10:7. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა 9 ბურთამდეც ასულა, მაგრამ ჩვენებს უყოჩაღიათ და დიდი ანგარიშით წაგებასაც გადარჩენილან – 16:22.

მიუხედავად მარცხისა, ნაკრების ხელმძღვანელობა მთლად უკმაყოფილო არ არის. საქართველოს ნაკრებმა ერთწლიანი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა. დაცვაში ეპიზოდურად მაინც ნორმალურად გვითამაშია, სამაგიეროდ, ხშირად იყო შეცდომები თავდასხმაში, ბევრი ბურთი ვერ გაგვიტანია ერთი-ერთზე გასულებს.

ნაკრებს 3 ძირითადი მოთამაშე აკლდა: ერიკ სივოპლიასოვი მოსკოვის კფკ-ს არ გამოუშვია, მამუკა შენგელიას ჩამოყვანა გერმანიიდან ვერ მოხერხდა, ხოლო გარი თურქია სოჭში ყოფილა წასული და ნაკრებისთვის ვერ ჩამოუსწრია. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩებს 2 და 4 მარტს გამართავს იტალიაში. ამასობაში იტალიას შინაც და სტუმრადაც დაუმარცხებია ფინეთი. როგორც შევიტყვეთ, იტალიის ნაკრებში რამდენიმე მოქალაქეობამიღებული ექს-იუგოსლაველი თამაშობს, რაც გაცილებით აძლიერებს ამ გუნდს.

# რუსებს ძალიან მოვენატრებივართ

დასაწყისი პირველ გვერდზე

ვად გადიოდა ნახევარფინალში. „ელიმაი" კერკეტი კაკალი გამოდგა და რომ არა მოსკოველი არბიტრის ანოხინის გულმოწყალება ჩვენების მიმართ, არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა, რომელშიც დინამოელები აშკარად გადაღლილი ჩანდნენ. მატჩის 25-ე წუთზე არბიტრმა უხეშობისთვის ჯერ გააფრთხილა, შემდეგ კი გააძევა ყაზახთა ნახევარმცველი ვიშნიაკოვი. თბილისელებმა ისარგებლეს მეტობით და 33-ე წუთზე ბერაძემ კარიდან წინ გამოსულ მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი. ორ წუთში ყაზახებმა ანგარიში გაათანაბრეს და პირველი ნახევარიც ასე დასრულდა. 55-ე წუთზე „ელიმაის" მცველ პინჩუკოვის და ყაველაშვილის ორთაბრძოლის დროს ანოხინმა ჩათვალა, რომ პინჩუკოვმა „ბოლო იმედის" ჯარიმა „ჩიდინა" და მასაც დაატოვებინა მოედანი. თბილისელებს 9 მეტოქის წინააღმდეგ თამაში არ გასჭირვებიათ და კიდევ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი – 62-ე წუთზე ყაველაშვილმა თავით, 78-ე და 83-ე წუთებზე კი შეცვლაზე შემოსულმა იაშვილმა. ნახევარფინალში, 2 თებერვალს დინამოელთა მეტოქე უკრაინის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი დონეცკის „შახტიორი" იყო. დინამოელებს მთელ თამაშში ეპყრათ უპირატესობა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა, ფაქტობრივად, ცალკარობანა გაუჩაღეს მეტოქეს. 24-ე წუთზე ფეხი გადაუბრნდა ყაველაშვილს და იგი დემეტრაძემ შეცვალა, ასე რომ, თავდასხმაში დარჩნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები – იაშვილი (რომელიც პირველად თამაშობდა სასტარტო შემადგენლობაში) და დემეტრაძე. მათ ჯერ ძალიან გაუჭირდათ ახოვან დონეცკელ მცველებთან ჭიდილი, მეორე ტაიმში კი დემეტრაძემ აშკარად დაჩაგრა თავისი მეურვე და სულ ცოტა, სამჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ბოლო მომენტში უზუსტოდ თამაშობდა. შეხვედრის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, როცა „შახტიორის" მცველებმა თავიანთ საჯარიმოში წააქციეს იაშვილი (მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე სერგო კუტივაძემ აღნიშნა, იაშვილის შეცვლას ვაპირებდი, მაგრამ კიდევ კარგი, არ შევცვალეო) და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა სერგეი ჰუსაინოვმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი, რასაც დონეცკელ ფეხბურელთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე დონეცკელთა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა სალკოვმა თქვა, არბიტრის მიმართ არავითარი პრეტენზია არა მაქვს და იგი ფორმალურად სწორი იყო, როცა ჩვენს კარში პენალტი დანიშნაო. ქინქლაძემ ოსტატურად დაარტყა პენალტი – მეკარე [illegible] მხარეს გადახტა, ბურთი მეორე მხარეს გაეხვა ბადეში. აქ „შახტიორმა" კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ხასიათი და აქტიურად შეგვიტია. 89-ე წუთზე დონეცკელებმა ჩათვალეს, რომ მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა მეტოქის კარში და მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რასაც მოჰყვა მცველ კოვალის გაძევება. ბოლო წუთზე პეტროვმა ახლოდან დაარტყა კარში, მაგრამ ზოიძემ არაჩვეულებრივი ნახტომით იხსნა თავისი გუნდი პენალტების სერიისაგან.

მატჩს, რომელსაც ასე ელოდნენ მოსკოვში, შედგა. ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკმა" ადვილად მოუგო რიგის „სკონტოს" 3:0 და ფინალში გავიდა. ამ შეხვედრას სჯიდა ქართველი არბიტრი თამაზ ლაცაბიძე, რომელმაც უშეცდომოდ იმოქმედა (ისევე, როგორც „შახტიორ" – „შირაქის" მატჩში) და თბილისელები რომ არ გასულიყვნენ ფინალში, ერთ-ერთი პირველი კანდიდატი იყო ფინალური მატჩის არბიტრობისა. ფინალმა მოსკოვში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. სპორტკომპლექსების დარბაზები მხოლოდ ორი გუნდის – „სპარტაკის" და „დინამოს" მონაწილეობით გამართულ მატჩებზე თუ ივსებოდა, ბოლო დღეს კი ცსკა-ს სპორტკომპლექსს (ტევადობა 4000) იმდენი ხალხი მიაწყდა, „ოლიმპიურის" 35 000-იან დარბაზსაც გაავსებდა. ბილეთის ფასი ხელზე 50-დან 80-ათასამდე მერყეობა. მაინც ქართველმა გულშემატკივრებმა იმარჯვეს და მატჩის პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ „სპარტაკის" ფანებს რიცხობრივად ჯობდნენ. თბილისელებს ამ მატჩში აკლდათ ძირითადი შემადგენლობის მცველი ლობჟანიძე (ორი გაფრთხილების გამო), რამაც გარკვეული კორექტივები გამოიწვია, რადგანაც მის ნაცვლად მარცხენა მცველობა მიენდო 16 წლის სრულიად გამოუცდელ კალაძეს, რომელიც 29-ე წუთზე შეიცვალა კიდეც. მატჩი მაღალ ტემპში და ორმხრივი იერიშებით დაიწყო. პირველი სახიფათო მომენტი დინამოელთა კართან შეიქმნა ონოპკოს თაურის შემდეგ. მე-11 წუთზე ყაველაშვილმა, რომელიც ნატკენი ფეხით თამაშობდა, მოატყუა ონოპკო, კარგადაც დაარტყა, მაგრამ ნიგმატულინიც კარგად დახვდა. ერთი წუთის შემდეგ ჩვენებმა კონტრიერიში განახორციელეს, ქინქლაძემ კარშიც დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. მოსკოველები მიხვდნენ, რომ მეტოქეთა ყველაზე სუსტი ადგილი მარცხენა ფრთა იყო და იერიშებს აქედან უმატეს. მე-13 წუთზე მათ ისარგებლეს ჩვენი მცველების შეცდომით, ციმბალარმა დაასწრო კალაძეს და ახლოდან გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ „სპარტაკი" კი უტევდა, მაგრამ დიდად სახეირო არაფერი შეუქმნია, თბილისელები კი კონტრშეტევებისას უფრო ახლოს იყვნენ მიზანთან და, სულ ცოტა, სამჯერ შეეძლოთ ბურთის გატანა: 23-ე წუთზე ყაველაშვილი თითქმის პირისპირ გადის მეკარესთან და კარს აცილებს, 26-ეზე ქინქლაძის ბრწყინვალე პასის შემდეგ ყაველაშვილი კვლავ გავიდა მეკარესთან პირისპირ და კვლავ ააცილა, ტაიმის ბოლო წუთზე ჯამარაული შედის საჯარიმოში, ძლიერადაც ურტყამს და კვლავ ოდნავ არაზუსტად.

მეორე ტაიმიც ორმხრივი იერიშებით დაიწყო. 58-ე წუთზე (ისევ მე-13 წუთი), მოხდა ის, რამაც, ჩემი აზრით, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი: მარცხენა ფლანგზე კვლავ უხეშად შეცდნენ დინამოელი მცველები და ალენიჩევმა ორამდე გაზარდა ანგარიში, რამაც აშკარად გატეხა ჩვენი ფეხბურთელები და სამ წუთში ისევ მცველების შეცდომა კარგად გამოიყენა მუხამადიევმა – 3:0. ორი წუთის შემდეგ იმედი გაკრთა – ქინქლაძემ ულამაზესი გოლი გაიტანა. მას 78-ე წუთზეც შეეძლო თავის გამოჩენა, როცა მახვილი კუთხიდან ზედიზედ ორჯერ დაარტყა სპარტაკელთა კარში, მაგრამ ნიგმატულინმა ორივე დარტყმა მოიგერია. 82-ე და 84-ე წუთებზე ჩვენმა მცველებმა კარის სიახლოვიდან დარტყმის საშუალება მისცეს ჯერ კეჩინოვს, მერე ტიხონოვს და ანგარიშიც 5:1-მდე გაიზარდა.

მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე სერგო კუტივაძემ აღნიშნა, რომ დღეს „სპარტაკი" ობიექტურად ძლიერი „დინამოზე", შეხვედრის სანახაობრივი მხარით იგი კმაყოფილია, შედეგით კი, ცხადია, არა. მან განსაკუთრებით გამოჰყო ქინქლაძე, რომელმაც ტურნირზე საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. „დინამო" ძალიან ახლგაზრდული გუნდია, შემოდგომაზე მისი რიგები დატოვა ათამდე წამყვანმა ფეხბურთელმა, ახლაც ოთხი ფეხბურთელი აპირებს წასვლას, ასე რომ, ფაქტიურად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგვიწევს და ძალიან ძნელი იქნება მოწინავე პოზიციების შენარჩუნება. გუნდი ძალიან გადაღლილი იყო, ხოლო მეორე გოლის შემდეგ, ფაქტიურად, მოეშვა კიდევაცო. „სპარტაკის" მეორე მწვრთნელის გიორგი იარცევის თქმით, მას ყველაზე მეტად მოეწონა ფინალური მატჩი, აქ იყო ყველაფერი ის, რითაც მდიდარია ფეხბურთი. ჩვენ ვთვლიდით, რომ მთავარი კონკურენტი თბილისის „დინამო" იქნებოდა და აკი არც შევცდარვართ. ქართულ ფეხბურთს ყოველთვის ჰყავდა ტალანტები და არც ახლა განიცდის მათ ნაკლებობას. თავისი გუნდის ნაკლად მან დაასახელა ის, რომ სპარტაკელთა დაცვა ყოველთვის ვერ ხვდებოდა მზად დინამოელთა კონტრშეტევებს და ამის გამო მეტოქეს პირველ ტაიმში შეეძლო დავესაჯეთო. აღნიშნა ისიც, რომ „სპარტაკი" ამ ტურნირისთვის ძალიან სერიოზულად მოემზადა და ღირსეულადაც გაიმარჯვა. მისი აზრით, ეს, მესამე ტურნირი წინა ორს აღემატებოდა სიძლიერით. ბოლოს კი იარცევმა აი, რა განაცხადა: სასურველი და აუცილებელია დსთ-ს ჩემპიონატის ჩატარება, რადგან ფეხბურთის დონე ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის რუსეთშიც საგრძნობლად დაქვეითდაო. სხვათა შორის, ამგვარ მოსაზრებას ამ ტურნირზე ხშირად და ბევრისგან გაიგებდით.

თბილისის „დინამოს" გამოსვლა თანამეგობრობის ჩემპიონთა თასზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან წინა ორ გათამაშებაში უკეთესი შემადგენლობით ნახევრფინალს ვერ გაალწია, თუმც თამაშის ხარისხით და სპეციალისტთა შეფასებებით ისეთი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, როგორც პირველ ორ ტურნირში. გუნდი უფრო პრაქტიკულ ფეხბურთს თამაშობდა ვიდრე სანახაობრივს, რამაც უკეთეს შედეგამდეც მიიყვანა, თუმცა ზოგიერთ მატჩში ფორტუნამ აშკარად ჩვენი მხარე დაიჭირა. კარგად ჩაატარეს ტურნირი ზოიძემ, კიკნაძემ, ყაველაშვილმა, ქინქლაძემ და ბერაძემ. აშკარად სუსტი იყო დაცვა, თუმცა მცველთა [illegible]

[illegible] ებიც ჩამორიგდა. საუკეთესო მეკარედ [illegible] აღიარეს შუტკოვი („შახტიორი"), საუკეთესო მცველად – ზემლინსკი („სკონტო"), საუკეთესო ნახევარმცველად – კეჩინოვი („სპარტაკი"), საუკეთესო თავდამსხმელად – ქინქლაძე; ყველაზე შეუპოვარი ფეხბურთელის პრიზი ერგო ყაველაშვილს, საუკეთესო ბომბარდირისა – ციმბალარს („სპარტაკი") – 6 გოლი.

**რევაზ შენგელია**
მოსკოვი — თბილისი

ფოტო გაზეთ „სპორტ-ექსპრესიდან"

---

თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის III გათამაშება. მოსკოვი. 29 იანვარი - 4 თებერვალი

I ჯგუფი: სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — სიტორა (დუშანბე, ტაჯიკეთი) 4:0, ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) — ნეფტჩი (ბაქო, აზერბაიჯანი) 1:0, სპარტაკი — ნეფტჩი 5:0, ჟალგირისი — სიტორა 6:0, ნეფტჩი — სიტორა 1:0, სპარტაკი — ჟალგირისი 4:1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 13-1 | 9 |
| ჟალგირისი | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ნეფტჩი | 1 | 0 | 2 | 1-6 | 3 |
| სიტორა | 0 | 0 | 3 | 0-11 | 0 |

II ჯგუფი: კოპეტ-დაღი (აშხაბადი, თურქმენეთი) — კანტ-ოილი (კანტი, ყირგიზეთი) 4:0, სკონტო (რიგა, ლატვია) — დინამო (მინსკი, ბელარუსი) 6:0, დინამო — კანტ-ოილი 9:0, სკონტო — კოპეტ-დაღი 0:0, სკონტო — კანტ-ოილი 4:1, დინამო — კოპეტ-დაღი 1:1.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 2 | 1 | 0 | 10-1 | 7 |
| კოპეტ-დაღი | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| დინამო | 1 | 1 | 1 | 10-7 | 4 |
| კანტ-ოილი | 0 | 0 | 3 | 1-17 | 0 |

III ჯგუფი: დინამო (თბილისი, საქართველო) — რუსეთის ოლიმპიური ნაკრები 4:2.

დინამო: ზოიძე, ბერაძე, კიკნაძე, დიდავა, ლობჟანიძე, ანჩაბაძე (ცქიტიშვილი 50), მაჭავარიანი, ჯამარაული (კალაძე 80), კორღალიძე (ხუჯაძე 73), ქინქლაძე (იაშვილი 69), ყაველაშვილი (გოგოლაძე 46).

გოლები: ყაველაშვილი (3, 38), ქინქლაძე (9), ნეკრასოვი (14), კლიუევი (18), ჯამარაული (80).

ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) — ელიმაი (სემიპალატინსკი, ყაზახეთი) 0:0.

რუსეთის ოლიმპიური — ელიმაი 6:2

დინამო — ზიმბრუ 2:0

დინამო: ზოიძე, ბერაძე, კიკნაძე, დიდავა, ლობჟანიძე, ცქიტიშვილი, მაჭავარიანი, ჯამარაული, კორღალიძე (დემეტრაძე, 64), ქინქლაძე, ყაველაშვილი (იაშვილი, 78)

გოლები: ყაველაშვილი (47, 58)

რუსეთის ოლიმპიური — ზიმბრუ 2:1

დინამო — ელიმაი 4:1

დინამო: ზოიძე, ბერაძე (ხუჯაძე 80), კიკნაძე, დიდავა, ლობჟანიძე, ცქიტიშვილი (იაშვილი 60), მაჭავარიანი, ჯამარაული (დემეტრაძე 16), კორღალიძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი

გოლები: ბერაძე (33), ლიტვინენკო (35), ყაველაშვილი (62), იაშვილი (78, 83)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| რუსეთი (ოლიმპ) | 2 | 0 | 1 | 10-7 | 6 |
| ზიმბრუ | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| ელიმაი | 0 | 1 | 2 | 3-10 | 1 |

IV ჯგუფი: ნურაფშორი (ბუხარა, უზბეკეთი) — ფლორა (ტალინი, ესტონეთი) 2:1, შირაქი (გიუმრი, სომხეთი) — შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) 1:2, შირაქი — ფლორა 1:0, შახტიორი — ნურაფშონი 5:2, შირაქი — ნურაფშონი 4:2, შახტიორი — ფლორა 1:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| შირაქი | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| ნურაფშონი | 1 | 0 | 2 | 6-10 | 3 |
| ფლორა | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |

ნახევარფინალები

დინამო — შახტიორი 1:0

დინამო: ზოიძე, ბერაძე, კიკნაძე, დიდავა, ლობჟანიძე, ანჩაბაძე, მაჭავარიანი, ჯამარაული, იაშვილი, ქინქლაძე, ყაველაშვილი (დემეტრაძე, 24)

შახტიორი: შუტკოვი, ლეონოვი, კოვალი, იაშჩენკო, ბაბიი, ს. ონოპკო, ორბუ, სტოლოვიცკი, პეტროვი, პოგოდინი, ვოსკობოინიკი

გოლი: ქინქლაძე (85 პ)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, ლეონოვი, ბაბიი

გაძევება: კოვალი (90)

მსაჯი: ს.ჰუსაინოვი (რუსეთი)

სპარტაკი — სკონტო 3:0

სპარტაკი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ნიკიფოროვი, ციმბალარი, აფანასიევი, ალენიჩევი (ჩუდინი 80), ვ. ონოპკო, ტიხონოვი (მუხამადიევი 46), თეთრაძე, პისარევი, კეჩინოვი

სკონტო: გრიშინი, ტროიცკი, მიკუცკი, ზემლინსკი, შევლიაკოვი (ლობანევი 55), ი.ნ. სტეპანოვი, ი.ვ. სტეპანოვი, ბლაგონადეჟდინი, შტოლცერსი, სემიონოვი (ელისეევი 55), სლესარჩუკი (კლიშინი 64)

გოლები: ციმბალარი (39), ნიკიფოროვი (61 პ), პისარევი (90)

მსაჯი: თ.ლაცაბიძე (საქართველო)

ფინალი

სპარტაკი — დინამო 5:1

სპარტაკი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ნიკიფოროვი, ციმბალარი, აფანასიევი, ალენიჩევი, ონოპკო, ტიხონოვი, თეთრაძე, პისარევი (მუხამედიევი 46), კეჩინოვი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, კიკნაძე, დიდავა, კალაძე (ხუჯაძე 29), ანჩაბაძე, მაჭავარიანი, ჯამარაული, კორღალიძე (იაშვილი 46), ქინქლაძე, ყაველაშვილი (დემეტრაძე 68),

გოლები: პისარევი (13), ალენიჩევი (58), მუხამადიევი (61), ქინქლაძე (63), კეჩინოვი (82), ტიხონოვი (84)

გაფრთხილება: კალაძე

მსაჯი: ვ.ჟუკი (ბელარუსი)

ტურნირის ბომბარდირები:

ციმბალარი (სპარტაკი) — 6
ყაველაშვილი (დინამო) — 5
ქინქლაძე (დინამო) — 3
კეჩინოვი (სპარტაკი) — 3
მუხამადიევი (სპარტაკი) — 3
პისარევი (სპარტაკი) — 3

---

**ერთი პირობა თბილისის „შევარდენი-1906"-მა „დინამოსთვის" ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ მხოლოდ მეორე გუნდად დარჩა. „შევარდენმა" წელსაც კარგად დაიწყო სეზონი, ლიდერობდა კიდეც გათამაშებას, მაგრამ მერე და მერე ჩამოქვეითდა და, ის კი არა, ლამის ქულების დამრიგებლადაც იქცა. ბუნებრივია, სალაპარაკო საკმაოდ დაგროვდა, და კლუბის პრეზიდენტი ზურაბ ქიტიაშვილი სიამოვნებით დაგვეთანხმა საუბარზე.**

# «შევარდენი» უნდა იყოს...

**— შარშანდელი წლის ბოლოს თქვენი კლუბი ზოგჯერ „თბილისად" მოიხსენიებოდა. ნუთუ შეელიეთ კლუბის ძველ სახელს?**

— კლუბს „თბილისი" არ დარქმევია – ეს იყო მხოლოდ მოსაზრება, დაფუძნებული იმაზე, რომ სახელი „შევარდენი" გუნდისთვის გარკვეულწილად უიღბლო გამოდგაო. საბოლოოდ, მაინც გავითვალისწინეთ ამ სახელის ისტორიული მნიშვნელობა – ეს ხომ უძველესი გუნდია საქართველოში და ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ გუნდის სახელი უცვლელი დარჩა.

**— დღეს ყველას უჭირს საქართველოში, გამონაკლისი არც „შევარდენი" იქნება...**

— დალხენილს ვილას ნახავთ, საქართველოში ეკონომიკურად ყველა გუნდს უჭირს. ჩვენი კლუბის ფინანსურ მდგომარეობას მაინცდამაინც სახარბიელო არ ეთქმის, თუმცა იგი არც კატასტროფულია. მოკლედ, თავის გატანას როგორმე მოვახერხებთ.

**— შარშან თქვენმა რამდენიმე მოთამაშემ უცხოეთის კლუბებს მიაშურა. უფრო კონკრეტულად მათზე...**

— დევაძის ამბავი მეტნაკლებად უკვე ცნობილია. მამუკა ჯიქია წარმატებით გამოდის ავსტრიის „ლასკ ლინცერში". გოჩა კვიტატიანი ლუგანსკის „ზარია მალსშია", ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გოჩაც გუნდის წამყვანი მოთამაშეა. ჭოლოკავა და ხვადაგიანი უკრაინას გაემგზავრნენ ერთ-ერთ კლუბში გასასინჯად, ჯერ კონკრეტული არაფერი ისმის მათგან, ისე, კვლავ „შევარდენში" ირიცხებიან.

**— ერთი თვეც და ჩვენი ჩემპიონატის მეორე წრეც დაიწყება. თქვენი მიზნები?**

— მოხდა ისე, რომ „შევარდენი" უმიზნო გუნდად იქცა. სეზონის დასაწყისში იმედიანად ვიყავით, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო მოვლენები ისე განვითარდა, ათეულისთვის ბრძოლაღა გვიხდება. მაგრამ ჩვენ არ შევეგუებით საშუალო გუნდის სახელს, მეორე წრე წინაა და ვიბრძოლებთ კიდეც რაც შეიძლება უკეთესი ადგილის დასაკავებლად. შევეცდებით გავაკეთოთ მაქსიმუმი და ინტერტოტოს თასზეც ვიასპარეზოთ. ჩემთვის, როგორც „შევარდენის" პრეზიდენტისათვის ასეა: „შევარდენი" უნდა იყოს ერთ-ერთი ძლიერი გუნდი საქართველოში, ჩვენი ჩემპიონატების ერთ-ერთი პრიზიორი, სხვაგვარად მუშაობას აზრი არ ექნება.

**— თქვენს კლუბსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ერთი ხანობა დაძაბული ურთიერთობა იყო. კონფლიქტი კვლავაც გრძელდება?**

— არავითარი კონფლიქტი! რა კონფლიქტზეა ლაპარაკი, როცა კლუბის წესდებაში გვიწერია, რომ ჩვენ ვაღიარებთ ფედერაციის უფლებამოსილებას და ვემორჩილებით მის წესდებას. ის აზრი, თითქოს ჩვენ მუშაობას არ ვაცლით და ხელს ვუშლით ფედერაციას, აბსურდად მიმაჩნია. კონსტრუქციულ ოპოზიციაზე, ისეთზე, რომელიც ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზეა აგებული, უარი არავინ უნდა თქვას და ეს სავსებით დასაშვებადაც მიმაჩნია. სხვაგვარ უთანხმოებაზე ლაპარაკი ზედმეტია. არის საკითხები, რომლებიც ჩვენ შორის კამათს იწვევს, მაგრამ ერთობლივად ყველაფერის მოგვარება შეიძლება.

**— თქვენი აზრით, რამდენი გუნდი უნდა თამაშობდეს საქართველოს უმაღლეს დივიზიონში?**

— პირველ ჯგუფში ისეთი გუნდებიც არიან, თამაშებზეც რომ ვერ დადიან უსახსრობის გამო. უნდა შემუშავდეს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ზედმეტ ხარჯებსაც აგვაცილებს და ფეხბურთის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ვფიქრობ, თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატი დღეისათვის მისაღებია.

**— მეორე წრის წინ მოთამაშეთა კლუბებში გადასვლა-გადმოსვლაზე რას ფიქრობთ?**

— კარგი იქნება, თუ ორი ფეხბურთელის შეცვლა-დამატების უფლება მოგვეცემა. ისე როგორ იქნება, სეზონის განმავლობაში ზოგი ფეხბურთელი არ დაშავდეს ან ფორმიდან არ ამოვარდეს, საბოლოოდ კი მისი შეცვლა აუცილებელი არ გახდეს. ამიტომაც ეს მოსაზრება საკმაოდ პროგრესულად მიმაჩნია. მეც ვისურვებდი ორი ფეხბურთელის ჩვენთან გადმოყვანას, თუმცა მათ გვარებს ამჟამად არ დავასახელებ. გვსურს ისეთ ფეხბურთელებს მივცეთ გზა, რომლებიც ითამაშებდნენ შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთს და საქმესაც პროფესიულად მოეკიდებოდნენ. დღესდღეობით ხომ საქართველოში პროფესიონალიზმის დიდი დეფიციტია.

**— „შევარდენმა" სეზონი ნოდარ აკობიას ხელმძღვანელობით დაიწყო. შუა სეზონში მან დატოვა გუნდი, დღეს კი „შევარდენს" კვლავ იგი ავარჯიშებს...**

— თავდაპირველად ნოდარ აკობიასთან ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. „შევარდენი" სეზონის დასაწყისში არ გამოირჩეოდა სანახაობრივი თვალსაზრისით, თუმცა გუნდს ჰქონდა შედეგი. მერე გამოვეთიშეთ თასისთვის ბრძოლას, დავკარგეთ სრულიად გაუთვალისწინებელი ქულები, არც გუნდის ტაქტიკური სქემა გახლდათ მოსაწონი და არც თამაშის ხარისხი გვაკმაყოფილებდა. ყველაფერმა ამან გამოიწვია კონტრაქტის გაწყვეტა მთავარ მწვრთნელთან, მაგრამ შემდგომ გავითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ ნოდარ აკობიას მწვრთნელობის საკმაოდ კარგი სკოლა აქვს გავლილი თბილისის „დინამოში" და კვიპროსში. უბრალოდ, იმხანად თავი იჩინა მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოუცდელობამ. ბოლოს გადაწყდა, მიგვეცა მისთვის შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება.

**— „შევარდენს" ბავშვთა ჯგუფები თუ ჰყავს და თუ იღებს მათგან შევსებას?**

— ბავშვთა სკოლა კი არსებობს, მაგრამ ის საავიაციო ქარხნის ბალანსზეა. ვაპირებდით 1984-86 წლებში დაბადებულ მოზარდ ფეხბურთელთა ჯგუფების აყვანას ჩვენს ბალანსზე, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, ქარხნის ხელმძღვანელთაგან უარი მივიღეთ. ბავშვებს შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ინვენტარით, მაგრამ ძალიან დასანანია, რომ შევსებას ჯერჯერობით არ ვიღებთ.

**— მახსოვს, უმაღლესი დივიზიონის კლუბების პრეზიდენტთა ხშირი შეკრებების მომხრე იყავით და პრაქტიკულადაც ახორციელებდით ამას. წელსაც გააგრძელებთ ტრადიციას?**

— ამ შეხვედრებმა სასიკეთო ვერაფერი მოიტანა. ერთ-ერთ შეხვედრაზე ისეთ დებულებებს ვიხილავდით, ყველა კლუბისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა რომ ჰქონდა და პირდაპირ გამაოცა ზოგიერთი კლუბის პრეზიდენტის უგულისყურო დამოკიდებულებამ და დაუინტერესებლობამ. ამის მერე რა შეხვედრებზე შეიძლება ლაპარაკი. ყველა კლუბი ალბათ თავისით გადაწყვეტს თავის პრობლემებს. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს.

**მამუკა კვანტალიანი**

# ნემსაძე ნემსაძის ძიებაში



**საქართველო — უელსის მატჩის 43-ე წუთზე გიორგი ნემსაძემ მინდვრის შუაგულში ბრძოლაში მოიპოვა ბურთი, გასცდა ერთ უელსელს და ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ქინქლაძე, რომელმაც მეორე გოლი გაიტანა. პასის ავტორი გოლის ავტორისკენ ჩასახუტებლად გაიქცა, წამში ეს დუეტი თანაგუნდელებმა დაფარეს, ხოლო როცა თამაში განახლდა, ნემსაძე ისევ იმ ადგილას დარჩა და ვერც ექიმების ჩარევის შემდეგ შეძლო თამაშის გაგრძელება. ერთი სიტყვით, ყველასგან ყველაფრით გამორჩეულმა ქართველებმა კიდევ ერთი კურიოზული ტრავმა მივითვალეთ. ნემსაძე მას მერე აღარ გამოჩენილა მწვანე მინდორზე და მხოლოდ ერთი თვის მერე დაბრუნდა დილმის ბაზაზე, ისიც იმიტომ, რომ მინდვრის გარედან ედევნებინა თვალი თანაგუნდელთა ვარჯიშისთვის. მონახულებისას, საუბარი იმ ეპიზოდის გახსენებით დავიწყეთ.**

— მახსოვს, უელსელთა პასი ჩავჭერი, ერთი მეტოქე მოვატყუე, დავინახე, მარცხნივ გიო ქინქლაძე იხსნებოდა და შევეცადე ზუსტი პასი მიმეწოდებინა. გოლის მერე სიხარულით გადარეული მისკენ გავიქეცი, ეგაა, წამით გულში ეჭვმა გამკრა, გავსრიალდე თუ არა-მეთქი. ზუგდიდელებთან მატჩში მუხლი ვიტკინე და ბოლომდე მოშუშებული არ მქონდა. მაინც სიხარულმა მძლია და გიოსკენ გავსრიალდი. „გზაშივე" მივხვდი, რომ მუხლი გადამიტრიალდა, მაგრამ ამანაც ველარ შემაჩერა. როდესაც ბიჭები შემოგვეხვივნენ, უკვე აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი და მივხვდი, რომ თამაშს ველარ გავაგრძელებდი...

**— მაგრამ შენი უიღბლობა ამით არ მორჩენილა...**

— სამი დღე ვიწექი მუხლის ტკივილის გამო და ხან მენისკი მეგონა, ხანაც რა. მესამე დღეს გავყვითლდი. ბოტკინის ძალიან მეშინოდა, რადგან ბავშვობაში, ოთხი წლისამ გადავიტანე. საქართველოში ამ საქმის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტთან ეთერი ბოცვაძესთან გამაქანეს. იგი ჯერ დაეჭვდა: უიშვიათესი რამაა, A კატეგორიის ბოტკინი კაცს ორჯერ შეეყაროსო. არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ კვლავ A ფორმა იქნებოდა, საკვები პროდუქტებიდან რომ გადადის ორგანიზმში. მზესუმზირა მიყვარს ძალიან და ვინ იცის, იქნებ იმის ბრალია. ისე, მას მერე მზესუმზირა ძალიან შემძაგრდა.

მოკლედ, ზუსტად ერთი თვე ვიწექი სახლში. როცა ხელმეორედ გავესინჯე, ჩემდა გასახარად ორგანიზმს უკვე დაძლეული ჰქონდა ავადმყოფობა. ახლახან კვლავ ვიყავი ქალბატონ ეთერისთან და მითხრა, თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში ვარჯიშს დაიწყებო...

**— ესე იგი, 29 მარტამდე...**

— მოდი, მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ, წინასწარ საუბარი ცუდად მაქვს დაცდილი.

**— მაშ უკვე განვლილზე ვილაპარაკოთ, ალბანელებთან მატჩს შენც ჩვენსავით რადიოში უსმენდი, არადა, შენი ადგილი იმ დღეს „ქემალ სტაფას" სტადიონზე იყო.**

— ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ძალიან გიხარია, მაგრამ გულის სიღრმეში ტკივილისმაგვარს გრძნობ...

**— 14 მარტს ჩემპიონატი განახლდება. შენ ამ დროს, უკეთეს შემთხვევაში, ვარჯიში ორი კვირის დაწყებული გექნება. შენი ამპლუა მინდორზე უაღრესად შრომატევადია, ხომ არ არის საშიშროება, ზედმეტი მოინდომო და შენს ჯანმრთელობას ავნო?**

— საწოლიდან რომ ავდექი, თავს ძალას არ ვატანდი, თუმცა, ფეხით გასავლელი რომ მქონდა რამდენიმე მეტრი, გავრბოდი, მაინტერესებდა, ჯანზე როგორ ვიყავი. თითქოსდა არაფერი. ახლაც, ვარჯიშს რომ დავიწყებ, მხოლოდ ექიმების კონსულტაციით გავზრდი დატვირთვებს. ბატონ ზაქრო თელიას ეგ არ ესწავლება. ჯერ დავეწევი ბიჭებს და მერე ვნახოთ...

**— ამ ხნის მანძილზე, ექიმებს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე მეტად ერთი პიროვნება არ გაცილებდა გამჭოლ მზერას. მამაშენს, ვაჟა ნემსაძეს ყველა გულშემატკივარი იცნობს. ვთვლი, რომ იგი იმსახურებს „ადგილს" ჩვენს ინტერვიუში. ყოფილა შემთხვევა, წვიმით დაშინებულ გულშემატკივრებს იარუსისთვის შეუფარებიათ თავი და, თავს კი არ ვიქებ, ფაქტს ვამბობ — ორად-ორი კაცი დავრჩენილვართ პირველ იარუსზე.**

— ვიცი, მახსოვს... როცა მამაჩემი სტადიონზეა, მორჩა, მისთვის ხელისშემშლელი რაიმე ძალა არ არსებობს. თბილისში ჩემი თამაში არ გაუცდენია, ის კი არა, ლანჩხუთშიც იშვიათად აცდენდა. ფეხბურთი უზომოდ უყვარს, არც მე — ნაკლებად, ჰოდა, ისიც გემახსოვრება, ადრე რა „ოჯახური გაწევ-გამოწევა" გვქონდა — იმას ტრიბუნიდან, მე მინდვრიდან. აბა, მამაჩემზე მეტი სიკეთე ვის უნდა ჩემთვის, მაგრამ ემოცია სძლევს ხოლმე.

**— ისიც მახსოვს, უწინ შენს თამაშზე ძალიან მოქმედებდა მამაშენის რეპლიკები.**

— კი, ეს მართლა ასე იყო, მაგრამ ახლა ყურადღებას აღარ ვაქცევ, ისე აღვიქვამ, როგორც რიგითი გულშემატკივრის შეძახილს. ალბათ, ასაკის ბრალია. ეტყობა დავდინჯდი.

**— ამის შემდეგ ზედმეტიცაა იმის კითხვა, ვინ მიგიყვანა ფეხბურთზე...**

— სხვათა შორის, მამაჩემზე მონდომებული მე ვიყავი. ჩემი უბნიდან ჩვენი თაობის 7-8 ბიჭი ნაძალადევში ცნობილ „ტრიკოტაჟკას" სტადიონზე მივიდა სავარჯიშოდ. 1977 წელი იყო, მე ერთი წლით უმცროსი ვიყავი, ავუტყდი მამაჩემს, მიმიყვანე-მეთქი. მეუბნებოდა, ჯერ პატარა ხარო, მაგრამ ბოლოს მაინც მიმიყვანა. ამ გახსენებაზე ერთი თხოვნა შემისრულე. ადრე, ერთ ინტერვიუში ჩემი პირველი მწვრთნელის ჟანი ლეჟავას ხსენება დამავიწყდა. როგორც გავიგე, ძალზე განაწყენებულა. ჰოდა, ახლა მინდა მადლობა ვუთხრა მასა და ცხონებულ ვანო შუღრას.

**— მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და ის დროც დადგა, გიორგი ნემსაძე საქართველოს და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებების ლიდერთაგანი რომ გახდა. იმ საბჭოური ნაკრების მწვრთნელს გენადი კოსტილევს, ლამის საფიცრად ჰყავდი, მერე კი თქვენს შორის შავმა კატამ გაირბინა.**

— ეგ ცოტა უცნაური ამბავი იყო. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშში ჰოლანდიას 3:0 მოვუგეთ. კოსტილევი დამპირდა, თუ კვიპროსზე ხუთიანზე ითამაშებ, თბილისში გაგიშვებო. „დინამო" მაშინ ისრაელს მიემგზავრებოდა და ჩემი სული და გული თანაკლუბელებთან იყო. კვიპროსსაც 3:0 მოვუგეთ, გოლიც შევაგდე, კოსტილევმა კი მითხრა, ვერ გაგიშვებ, რადგან, ერთი რომ, ოთხიანზე პლიუსით ითამაშე, მეორეც, კვიპროსთან განმეორებითი თამაში ბაქოში ტარდება, იქ კი ორი სომეხი ფეხბურთელი ვერ ჩამოვა და კაცი მაკლდებაო. ის მატჩი აღარაფერს წყვეტდა, ჰოდა, მეც ავდექი და იმ ორ სომეხ ფეხბურთელთან ერთად სახლში დავბრუნდი. კოსტილევს მაშინ ნიკა ამირეჯიბი ეხმარებოდა. ისიც შევარცხვინე. ის დღე იყო და ნაკრებში აღარ გამოვუძახივარ. მერე კი ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყო...

**— მანამდე კი საკავშიროზე გოლიც გაიტანე...**

— მახსოვს, სწორედ ერევნელებს ვეთამაშებოდით. იმდენი ხალხი კარგა ხანია აღარ მინახავს თამაშზე, სავსე სტადიონზე გამოსვლა ჩემთვის განსაკუთრებული რამაა, თითქოს ძალა მემატება. ყველა ფეხბურთელი ასეა...

**— „ტიროლთან" ტრიბუნებიც სავსე იყო და მინდორიც ჩინებულ მდგომარეობაში გახლდათ. თქვენ კი 1:5 წააგეთ.**

— ეჰ, ბევრი ნიუანსი იყო. შელია არ გვყავდა, მცველი მარტო ლობჟანიძე იყო, ფლანგებზე მე და რევიშვილი ვთამაშობდით. აბა, მე რა მცველი ვარ, მთელი ცხოვრება საყრდენ ნახევარმცველად ვთამაშობდი. ამრიგად, უმცველობამ დაგვღუპა.

**— არადა, იმ სეზონში შენი მარჯვენა მცველად თამაში იძულებითი იყო — გუნდს მაშინ დაცვაში უჭირდა.**

— სხვათა შორის, იმ ერთმა სეზონმა, მარჯვენა მცველად რომ ვითამაშე, ბევრი შემძინა. ჩემი ამპლუის ფეხბურთელს — ნახევარმცველს, მითუმეტეს დღეს, ძალზე სჭირდება მცველის ჩვევები. მოკლედ, ზოგი ჭირი მარგებელია.

**— ერთი პირობა ხმა დაირხა, ნემსაძე მოსკოვის „დინამოში" მიდისო...**

— ხმებადვე დარჩა. კონკრეტულად არავინ დამლაპარაკებია.

**— ალბათ, ჩვენს ჩემპიონატს არ შეაბერდები და უცხოეთში წასვლაზე ფიქრობ, მითუმეტეს, რომ ნაკრების წევრთაგან ორიოდე კაცილა დარჩით საქართველოში...**

— თუ სერიოზულად ფიქრობ დიდ ფეხბურთზე, დიდ საფეხბურთო ქვეყანაში წასვლაზეც უნდა იფიქრო. ძალიან მინდა გერმანიის რომელიმე კლუბში გადასვლა, მაგრამ ჩემი ოცნება მაინც იტალიაში თამაშია. „დინამოსთან" კონტრაქტი მაისამდე მაქვს, მერე ვნახოთ. საზღვარგარეთ წასვლა იმიტომაც მსურს, რომ მარტო ფეხბურთზე ვიფიქრო...

**— მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატი გაქვთ მოსაგები. არ გაშინებთ, „სამტრედიის" ზურგსუკან რომ აღმოჩნდით პირველი წრის მერე?**

— აქამდე რომ არ გვაშინებდა, იმიტომაც დაქვეითდა ფეხბურთის დონე საქართველოში. ახლა კი მეტი სერიოზულობით მივუდგებით საქმეს, ეს კი ისევ იმ დონის ამაღლებას წაადგება. „დინამოს" უპირობო ჰეგემონიამ პირველი რიგში ჩვენზე იმოქმედა, რაც უნდა სერიოზულად ემზადო, მაინც არაა ის დონე. უცხოეთში ყველა მატჩისთვის საგანგებოდ უნდა მოემზადო, ისე, როგორც ნაღდ პროფესიონალს მოეთხოვება.

**— ამას ალბათ ჩვენი ლეგიონერების მაგალითზე ამბობ, შენს ყოფილ თანაგუნდელთაგან ხომ თითქმის ყველა საზღვარგარეთიდან ჩამოდის ნაკრების თამაშებზე.**

— რა თქმა უნდა. ვერც წარმოიდგენ, როგორ აიმაღლეს კლასი.

**— უეფა-ს ახალი ტურნირი ჩვენს ჩემპიონატს კიდევ უფრო დაძაბულს გახდის, და, უეჭველია, ძველებურად იოლად ველარ მოიგებთ თამაშებს...**

— ამ ამბავმა ძალიან გამახარა, ჯერ ერთი, ყველა თავს გამოიდებს, ჩვენც ათმაგად გაგვიძალიანდებიან და საერთო დონე ამაღლდება. მეორეც, მეპატრონეები უფრო მიხედავენ გუნდებს. რაც მთავარია, მაყურებელი ისევ დაუბრუნდება ტრიბუნებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჩემპიონატში თამაშს სხვა აზრი და აზარტი მიეცემა, ულიმღამო და საეჭვო თამაშებიც იქნებ წარსულს ჩაბარდეს.

**— როგორ გგონია, პირველ ჯგუფში გამომსვლელი გუნდების საერთო რაოდენობის შემცირებაც სასარგებლო იქნება ჩვენი ფეხბურთისთვის?**

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ჩვენს უმაღლეს დივიზიონში ათი გუნდი უნდა თამაშობდეს ოთხ წრედ. განა არ სჯობია, ოთხჯერ ვეთამაშოთ „სამტრედიას", ფოთელებს, ქუთაისელებს, წარმოგიდგენია, რა დაძაბული იქნება ჩემპიონატი?! თანაც თუ ათი გუნდიდან ოთხ-ხუთს ევროპაში გასვლის შანსი ექნება, დანარჩენებს კი დივიზიონის დატოვების საფრთხე დაემუქრებათ... ჩემპიონატის გაუმჯობესება მერე ნახე!

**— გითამაშია „დინამოში", „გურიაში", „შევარდენში", ისევ „დინამოში". ამ ოთხი გუნდიდან რომელში იხილა მაყურებელმა ნამდვილი ნემსაძე?**

— ვთვლი, რომ ჩემი ფეხბურთი ჯერ არ მითამაშია და მსურს დავამტკიცო კიდეც ეს — გულშემატკივრებს ვანახო ნამდვილი ნემსაძე, ანუ ის, რა შემიძლია. რაც მალე, უკეთესი.

**— მაშ შენ ერთი თამაში არ გხსომებია. 1991 გვიანი შემოდგომით ნაფარეულში ავთანდილ ღოღობერიძის თასის ფინალში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დაამარცხა ახალგაზრდული — 5:4. ასე მგონია, მაშინ ნათლად გამოჩნდა, ვინ ყოფილა ნემსაძე...**

— მართლა კარგი თამაში გამახსენე, მთელი მატჩი თვალწინ დამიდგა. დაახლოებით ასე მსურს ვითამაშო, ოღონდ დაახლოებით. „ჩემი ფეხბურთი" ახლა ცოტა სხვანაირად წარმოგიდგენია. ის მატჩი, მართლა დიდი ფეხბურთი იყო. მაშინ ჩემი საყვარელი მწვრთნელი, ნიკა ამირეჯიბი გვავარჯიშებდა.

**— ბატონ ნიკას ჩემთან საუბარში არაერთხელ დაუსახელებიხარ საქართველოს საუკეთესო ნახევარმცველად და თვით ფეხბურთელადაც კი. მე ხშირად არ ვეთანხმებოდი, რადგან სულ ის მატჩი მედგა თვალწინ, ისე კი შემდგომ აღარ გითამაშია. ამირეჯიბის გარდა სხვა მწვრთნელებთანაც გიმუშავია, რომელს გაიხსენებდი კიდევ?**

— ამირეჯიბი უკვე ვახსენე, სიამოვნებით გავიხსენებდი დავით ყიფიანთან მუშაობას, ამჟამად კი ალექსანდრე ჩივაძეს დავასახელებდი.

**— ჩივაძეს, სანამ ჩვენი ნაკრები უელსს გაანადგურებდა, მრავალი კრიტიკული შენიშვნის მოსმენამ მოუწია. სხვათა შორის, როცა ნაკრებმა თავისი თამაში იპოვა, ეს შენც შეგეხო — დაცვიდან ნახევარდაცვაში წაგწია. მოლდოვასთან თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე „შევარდენს" მოუგეთ, შენ ნახევარდაცვაში ითამაშე და გოლიც გაიტანე. მოლდოვასთან კი კვლავ დაცვაში აღმოჩნდი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნაკრებმა „დალვინება" ორი მატჩით დააგვიანა. ახლა რომ ცხრა ქულა გვქონდეს...**

— ჟურნალისტებს ყველაფერი გახსოვთ. „შევარდენთან" ის მატჩი მივიწყებულიც კი მქონდა. მართალი ხარ, პირველად ჩივაძემ წამწია ნახევარდაცვაში „იძულებითი მცველობიდან" და მეც გაიხსენე ძველებური. მოლდოვას სამი ქულა კი დღემდე ხინჯად მაქვს გულში. ეგ არაფერი, ამოვიღებთ დაკარგულს. ამ ორმა მოგებამ იმხელა იმედი მომცა, ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ. ბიჭებსაც მალა მოეცათ. ალბანეთ-გერმანიის მატჩს ვუყურე და არც ისე საშიშნი არიან გერმანელები, როგორიც გვგონია. თუ მოვინდომებთ, დავამარცხებთ კიდეც.

**— ბიჭები ახსენე. ჟაველაშვილთან და ჯამარაულთან ერთად გაიზარდე და ალბათ შენი იდეალური პარტნიორებიც ისინი იქნებიან...**

— ეგ ორი და კიდევ ქინქლაძე. ვიცი, გავიხსნები და პასს არ დამიგვიანებენ. არ გიყურებენ, მაგრამ გრძნობენ, რომ იხსნები.

**— ნაკრების მარცხთაგან ყველაზე მტკივნეული ალბათ მოლდოვასთან წაგება იყო, მაგრამ არც ნიგერიასთან 1:5-ზე წაგებას გაუხარებია ვინმე. ოღონდ არ მითხრა, სიცხე იყო, წყალი არ გვქონდა და იმიტომ წავაგეთო...**

— მაგ ყველაფერს დაამატე ის, რომ ნიგერიელებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ციკლი უკვე გავლილი ჰქონდათ, ჩვენთან კი სეზონი ახალი მორჩენილი იყო. თან სიცხეს ნუ ეხუმრები. „ლინფილდთან" მატჩში, თუ გახსოვს, მსაჯის სასტვენი და ჩრდილოირლანდიელთა მინდორზე დავარდნა ერთი იყო, აქაურ სიცხეს მიუჩვევლები გამოიფიტნენ, ჩვენ კი მთელი მატჩი შეტევაში გავატარეთ და მაინც ჯანზე ვიყავით. შეჩვეულ ჰავაზე თამაში სულ სხვაა. რასაც ნიგერიასთან მეორე ტაიმში ვაკეთებდით, იმას ფეხბურთს კი არა, სიარულსაც ვერ დაარქმევდი.

სიტყვამ მოიტანა და, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიელებსაც ვქომაგობდი, მიხაროდა, რომ იეკინი და ჩემს გვერდით ნათამაშები სხვა ფეხბურთელები მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს აჩოქებდნენ.

**— რამდენიმე დღის წინ ზაქრო თელიამ მითხრა, მალე კლუბი ნემსაძეს ლიკანში სამკურნალოდ...**

— სამკურნალო-აღდგენით ცენტრში მივდივარ ორი კვირით. ეს გამოჯანმრთელების პროცესს დააჩქარებს. ღვიძლთან ხუმრობა არ შეიძლება.

**— ნაკრებში ყველაზე მეტი — 14 მატჩი გაქვს ჩატარებული და „ასიანთა კლუბს" ოთხმოცდაექვსილა გიკლია. ხუმრობა იქით იყოს და, შენისთანა სტაბილურმა მოთამაშემ რატომ არ უნდა იფიქროს ამაზე?**

— ადრე ყურადღებას არ ვაქცევდი. უელსის ნაკრებთან თამაშის წინ ამაზე სიტყვა რომ ჩამოვაგდე, მას მერე ამეკვიატა ეს აზრი. რა თქმა უნდა, მწვრთნელზეა დამოკიდებული, მომიწევს თუ არა ნაკრებში თამაში, მაგრამ ერთი კია, დამატებითი სტიმული გამიჩნდა...

**— ისე გამოდის, ნაკრებშიც გაგიჩნდა დამატებითი სტიმული და კლუბშიც. შენ მურთაზ ხურცილავასთანაც გიმუშავია „შევარდენში" და სხვებზე უკეთ გეცოდინება „სამტრედიის" ავან-ჩავანი...**

— ხურცილავასნაირი შრომისმოყვარე, თავდადებული და გამტანი კაცი იშვიათად მინახავს. პატიება არ იცოდა, შენგანაც თავდაუზოგაობას ითხოვდა. საკუთარ შვილს, გოგას, ყველაზე მკაცრად ექცეოდა. ამიტომაცაა, რომ სადაც წავიდა, გუნდი დააყენა. ძალიან მიხარია „სამტრედიის" გაძლიერება. ნეტავი, ყველა გუნდთან თამაშიც ასევე გადამწყვეტი იყოს ჩვენთვის...

**— შენი გუნდი ახლახანს მოსკოვში უშენოდ თამაშობდა გადამწყვეტ მატჩებს...**

— ძალიან გამიხარდა ჩვენების ფინალში გასვლა. შარშან თავი ქუდში გვეგონა ფერლანის „ნეფთჩისთან", მაგრამ... თუ გახსოვს, იმ მატჩში არ ვთამაშობდი დისკვალიფიკაციის გამო. საერთოდ, დარბაზის ფეხბურთი ძალიან მიყვარს, მინი იქნება თუ თერთმეტი თერთმეტზე, ამიტომ ძალზე განვიცადე, უჩემოდ რომ ითამაშეს მოსკოვში. შუქი არ მქონდა სახლში და გენერატორის შესაძენად დავრბოდი, ფინალს მაინც ვუყურე-მეთქი, მაგრამ...





სიხარულსაც ცოდნა უნდა: ნემსაძე მაინც გასრიალდა და...

**...გიორგი ნემსაძე სიტყვის კაცია. მჯერა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ მალე ყველა ნახავს „ნამდვილ ნემსაძეს" და ჩვენი მასთან საუბარი დაპირება, ერთი ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს — „შენ სულ ასე მპირდებიო", დაპირებადვე არ დარჩება.**

მამუკა კვარაცხელია

გია ახალაძის ფოტოები

# იტალია

## ტურის ნაცვლად – დაკრძალვა

მორიგი ტური ქვეყნის მთავრობის მიერ იქნა გადატანილი. 18 წლის მილანელი სიმონე ბარბალიას მიერ დანის ერთი მოქნევა მთელი იტალიის სალაპარაკო გახდა. სწორედ მან მოკლა 25 წლის გენუელი ვინჩენცო სპანიოლო, რომელიც 2 თებერვალს დაკრძალეს. გასვენებას ათიათასობით გენუელი დაესწრო. ამასობაში მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა და მასში შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი ანტონიო ბრანკაჩოც შეიყვანა. „ჩვენ მივხედავთ წესრიგს, მაგრამ ამისთვის ყოველ კვირა დღეს 7 ათასი პოლიციელის მობილიზება დამჭირდება“ – თქვა მინისტრმა. პრესამ გამოაცხადა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ახალი წესები, რომლის ათი მუხლიდანაც გამოვყოფთ: ყველა გულშემატკივრისთვის მაგნიტური პირადობის მოწმობის დარიგებას; სტადიონებზე პლასტმასის სკამების გაუქმებას (პლასტმასს იოლად ამტვრევენ და იმით ჩხუბობენ); ყოველი თამაშის წინ ორივე გუნდის ტიფოზების 9-9 „ლიდერის“ პოლიციაში დაბარებას და ახსნა-განმარტების ჩატარებას (თუმცა ეს მუხლი ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება) და ა.შ. ამ წესების ძალაში შესვლა მომავლის საქმეა, უახლოესი ტურიდან კი, რომელიც ამ კვირას გაიმართება, სტადიონებზე შეუშვებენ მხოლოდ სეზონური აბონემენტების მქონე პირებს. რაც შეეხება თავად ჩაშლილ მატჩს, ფედერაციის გადაწყვეტილებით ის 15 თებერვალს უნდა შედგეს, თუმცა ამის გამო პროტესტი გამოთქვა გენუის ხელისუფლებამ, ვინაიდან ქალაქში ჯერ არ განელებულა სიმძაფრე და ბევრი, რომის პაპის თხოვნის მიუხედავად, მოსახლეობას ვენდეტისკენ მოუწოდებს. თვით გენუის პროკურატურამ მომხდარი ტრაგედიის გამო აღძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ბარბალიას ჩადენილი მოქმედება ჯერჯერობით არ ფასდება, როგორც განზრახ მკვლელობა — ამბობენ, რომ მან მხოლოდ მაშინ დააძრო დანა, როცა სპანიოლომ რამდენიმე დარტყმა მიაყენა.

# ინგლისი

## კლინსმანი მაინც ფორმაშია

თასის მეთექვსმეტედფინალი: 30 იანვარი. შეფილდ უენსდეი — ვულვერჰემპტონი 0:0
ჩემპიონატი: 1 თებერვალი. ბლექბერნი — ლიდსი 1:1, ნიუკასლი — ევერტონი 2:0, 4 თებერვალი. კოვენთრი — ჩელსი 2:2, ევერტონი — ნორვიჩი 2:1, იფსვიჩი — კრისტალ პალასი 0:2, ლესტერი — ვესტ ჰემი 1:2, მანჩესტერ [illegible] ტედი — ასტონ ვილა 1:0, ნოტინგემი — ლივერპული 1:1, ქუინზ პარკი — ნიუკასლი 3:0, შეფილდ უენსდეი — არსენალი 3:1, საუთჰემპტონი — მანჩესტერ სიტი 2:2, უიმბლდონი — ლიდსი 0:0. 5 თებერვალი. ტოტენჰემი — ბლექბერნი 3:1

წინა კვირის პროგრამა ფეხბურთის ასოციაციის თასის ბოლო მეთექვსმეტფინალით დაიწყო. შეფილდის კლუბი ვერ მოერია პირველლიგელ „ვულვერჰემპტონს“. სტუმრებმა 88-ე წუთზე პენალტიც კი მოიგერიეს და რანგით უფროს მეტოქეს საქმე გადასათამაშებლად გაუხადეს.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ასოციაციის წესრიგის კოდექსის ნიხრით „არსენალის“ ზანგ ფორვარდ იან რაიტს 41 საჯარიმო ქულა დაუგროვდება, რისთვისაც ათასი გირვანქით დაჯარიმდა და ოთხ საშინაო თამაშში დისკვალიფიკაციაც მიესაჯა. ურაიტოდ „არსენალმა“ შაბათს შეფილდში წააგო და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა.

შუა კვირაში ლიდერ „ბლექბერნს“ შეეძლო მეტად დაწინაურებულიყო, მაგრამ „ლიდსთან“ თამაშის მე-3 წუთზე „პროფესიული ფოლისთვის“ მეკარე ტიმ ფლაუერსი გაუძევეს. და მაინც, შირერმა მე-6 წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში, მაგრამ 85-ე წუთზე ლიდსელმა მაკალისტერმა ასევე პენალტით გაათანაბრა.

იმავე დღეს „ევერტონს“ ორი კაცი: ჰორნი და ახალბედა ბაროთი გაუძევეს ნიუკასლში. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ფოქსმა და ბერდსლიმ (პენალტით).

შაბათს მთლად კარგად ვერ იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ საქმე: ფრანგი კანტონა და ირლანდიელი როი კინი დისკვალიფიცირებული ჰყავდა: უელსელი ჰიუზისთვის კი წყალი შეეყენებინათ, მაგრამ ზედ მატჩის წინ გამოცხადდა, ჰიუზს კიდევ ორი წლით გაუგრძელეს კონტრაქტიო. სამაგიეროდ, კაპიტანი სთივ ბრუსი დაბრუნებოდა გუნდს.

„იუნაიტედმა“ ძლივს გაიმარჯვა: ერთადერთი გოლი პალისტერის გადაცემის მერე მე-17 წუთზე გაიტანა უელსელმა გიგზმა. მერე იგი შესაცვლელი შეიქნა, მეტოქე ფაშანუ კი ისე დაშავდა, რომ მოედნიდან საკაცით გაასვენეს. ამ თამაშში სამი ფეხბურთელი გააფრთხილეს.

„ლივერპული“ თამაშისათვის წამატებულ წუთამდე აგებდა ნოტინგემში (ბურთი კოლიმორმა გაიტანა), მაგრამ ბოლოს მაინც იმარჯვა ნორჩმა რობი ფაულერმა. ლივერპულელებს გაუძევეს ბები.

ამავე დღეს „არსენალს“ ორი კაცი გაუგდეს, „იფსვიჩს“ — ერთი. ქუინზპარკელმა ლეზ ფერდინანდმა ორი გოლი გაიტანა.

კვირას, „უაით ჰართ ლეინზე“ „სპურზმა“, ვისაც ახლა ჯერი ფრანსისი წვრთნის, ლიდერს ამ პირველობაზე მეოთხე მარცხი აწვნია. მე-16 წუთზე ნიკ ბამბის ჩაწოდებული ბურთით გერმანელმა კლინსმანმა სეზონის მე-19 გოლი გაიტანა 30-ე წუთზე ანდერტონის დარტყმული ბურთი მეტოქეს მოხვდა და კარში აღმოჩნდა. 47-ე წუთზე შერვუდმა კარის წინიდან სხვაობა შეამცირა, მაგრამ 79-ე წუთზე ბამბიმ თაურით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 27 | 18 | 5 | 4 | 58-24 | 59 |
| მანჩესტერ იუნ. | 27 | 17 | 6 | 4 | 48-21 | 57 |
| ნიუკასლი | 27 | 13 | 9 | 5 | 45-29 | 48 |
| ლივერპული | 26 | 13 | 8 | 5 | 45-21 | 47 |
| ნოტინგემი | 27 | 13 | 7 | 7 | 40-29 | 46 |
| ტოტენჰემი | 26 | 12 | 6 | 8 | 44-37 | 42 |
| ლიდსი | 26 | 10 | 9 | 7 | 34-28 | 39 |
| შეფილდი | 27 | 10 | 9 | 8 | 36-33 | 39 |
| უიმბლდონი | 26 | 10 | 6 | 10 | 31-40 | 36 |
| ნორვიჩი | 26 | 9 | 7 | 10 | 25-29 | 34 |
| არსენალი | 27 | 8 | 9 | 10 | 30-31 | 33 |
| ჩელსი | 26 | 8 | 8 | 10 | 34-37 | 32 |
| მანჩესტ. სიტი | 26 | 8 | 8 | 10 | 35-41 | 32 |
| ასტონ ვილა | 27 | 7 | 10 | 10 | 32-36 | 31 |
| საუთჰემპტონი | 26 | 6 | 12 | 8 | 37-42 | 30 |
| კრისტ. პალასი | 27 | 7 | 9 | 11 | 21-26 | 30 |
| ქუინზ პარკი | 25 | 8 | 6 | 11 | 38-44 | 30 |
| ევერტონი | 27 | 7 | 9 | 11 | 27-36 | 30 |
| ვესტ ჰემი | 26 | 8 | 4 | 14 | 24-33 | 28 |
| ქოვენთრი | 27 | 6 | 10 | 11 | 25-45 | 28 |
| იფსვიჩი | 27 | 5 | 5 | 17 | 29-55 | 20 |
| ლესტერი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-45 | 18 |

# ესპანეთი

## ვინ გაუტანს «რეალს»?

XX ტური. 4 თებერვალი. ლა კორუნია — ატლეტიკი 0:0. 5 თებერვალი. ბარსელონა — სპორტინგი 3:1, სელტა — ალბასეტე 0:0, ბეტისი — ლოგრონიესი 1:0, ვალენსია — ატლეტიკო 0:0, სოსიედადი — კომპოსტელა 1:1, ოვიედო — ესპანიოლი 3:0, ვალიადოლიდი — რასინგი 1:1, ტენერიფე — სარაგოსა 2:0, რეალი — სევილია 2:0.

ზუსტად ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც „რეალმა“ გაშვებული გოლის სიმწარე იწვნია. 4 დეკემბერს „სოსიედადთან“ 1:1-ის შემდეგ მადრიდელებმა აგერ უკვე მეშვიდედ ითამაშეს „მშრალად“ და ბურთების სხვაობაც 18:0-ით გაიუმჯობესეს. ამასობაში გოლის გატანას ძნელადღა თუ ახერხებს „ლა კორუნია“, რომელმაც გასულ შაბათს ვერაფერი მოუხერხა „ატლეტიკს“. არადა, ბასკები მთელი მეორე ტაიმი ათნი თამაშობდნენ — პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მასპინძელ ნანდოსა და ექსბარსელონელ გოიკოეჩეას წაკინკლავება ორივეს გაფრთხილებით დამთავრდა, მაგრამ სტუმრისთვის ეს უკვე მეორე ყვითელი ბარათი იყო. „ბარსელონა“ აგებდა, მაგრამ აიშვეს სტოიჩკოვმა, ჰაჯიმ და კორნეევმა. ჯერ ბულგარელის პასით რუმინელმა გაათანაბრა, შემდეგ რუსმა ორი ბრწყინვალე პასი მიაწოდა საუკეთესო ევროპელ ფეხბურთელს — ამან ჯერ ძელი შეარყია, მერე გოლი გაიტანა, მაგრამ სულ ტყუილად არ ჩაუთვალეს, თუმცა „ბარსამ“ მეორე ტაიმში მაინც იძალა. მეორე გოლი თავის შარშანდელ თანაკლუბელებს ესკაიჩმა შეუგდო, მესამე კი ბაკერომ. დიდი ანგარიშით მხოლოდ „ოვიედომ“ მოიგო — პირველი ორი გოლი მასპინძლებმა პენალტებით გაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 20 | 13 | 5 | 2 | 48-15 | 31 |
| ლა კორუნია | 20 | 10 | 8 | 2 | 33-17 | 28 |
| ბარსელონა | 20 | 11 | 5 | 4 | 35-24 | 27 |
| ბეტისი | 20 | 8 | 9 | 3 | 26-10 | 25 |
| სარაგოსა | 20 | 11 | 3 | 6 | 31-26 | 25 |
| ტენერიფე | 20 | 8 | 6 | 6 | 29-21 | 22 |
| ატლეტიკი | 20 | 8 | 6 | 6 | 17-18 | 22 |
| სევილია | 20 | 8 | 5 | 7 | 25-22 | 21 |
| ესპანიოლი | 20 | 6 | 8 | 6 | 25-21 | 20 |
| სოსიედადი | 20 | 5 | 9 | 6 | 24-22 | 19 |
| ვალენსია | 20 | 6 | 7 | 7 | 26-25 | 19 |
| ოვიედო | 20 | 7 | 5 | 8 | 21-21 | 19 |
| კომპოსტელა | 20 | 6 | 7 | 7 | 21-28 | 19 |
| სელტა | 20 | 5 | 8 | 7 | 17-27 | 18 |
| ალბასეტე | 20 | 4 | 8 | 8 | 25-34 | 16 |
| ვალიადოლიდი | 20 | 4 | 8 | 8 | 14-34 | 16 |
| ატლეტიკო | 20 | 5 | 5 | 10 | 29-31 | 15 |
| რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 20-28 | 15 |
| სპორტინგი | 20 | 4 | 7 | 9 | 22-37 | 15 |
| ლოგრონიესი | 20 | 1 | 6 | 13 | 6-33 | 8 |

### დარჩენილი ტურების კალენდარი

12 თებერვალი. სევილია — ვალენსია, ატლეტიკო — ტენერიფე, სარაგოსა — სოსიედადი, კომპოსტელა — ოვიედო, ესპანიოლი — ვალიადოლიდი, რასინგი — ბარსელონა, სპორტინგი — ლა კორუნია, ბილბაო — სელტა, ალბასეტე — ბეტისი, ლოგრონიესი — რეალი

19 თებერვალი. ტენერიფე — ვალენსია, სოსიედადი — ატლეტიკო, ოვიედო — სარაგოსა, ვალიადოლიდი — კომპოსტელა, ბარსელონა — ესპანიოლი, ლა კორუნია — რასინგი, სელტა — სპორტინგი, ბეტისი — ბილბაო, რეალი — ალბასეტე, ლოგრონიესი — სევილია

26 თებერვალი. სევილია — ტენერიფე, ვალენსია — სოსიედადი, ატლეტიკო — ოვიედო, სარაგოსა — ვალიადოლიდი, კომპოსტელა — ბარსელონა, ესპანიოლი — ლა კორუნია, რასინგი — სელტა, სპორტინგი — ბეტისი, ბილბაო — რეალი, ალბასეტე — ლოგრონიესი

5 მარტი. სოსიედადი — ტენერიფე, ოვიედო — ვალენსია, ვალიადოლიდი — ატლეტიკო, ბარსელონა — სარაგოსა, ლა კორუნია — კომპოსტელა, სელტა — ესპანიოლი, ბეტისი — რასინგი, რეალი — სპორტინგი, ლოგრონიესი — ბილბაო, ალბასეტე — სევილია

12 მარტი. სევილია — სოსიედადი, ტენერიფე — ოვიედო, ვალენსია — ვალიადოლიდი, ატლეტიკო — ბარსელონა, სარაგოსა — ლა კორუნია, კომპოსტელა — სელტა, ესპანიოლი — ბეტისი, რასინგი — რეალი, ლოგრონიესი — სპორტინგი, ალბასეტე — ბილბაო

19 მარტი. ოვიედო — სოსიედადი, ვალიადოლიდი — ტენერიფე, ბარსელონა — ვალენსია, ლა კორუნია — ატლეტიკო, სელტა — სარაგოსა, ბეტისი — კომპოსტელა, რეალი — ესპანიოლი, ლოგრონიესი — რასინგი, ალბასეტე — სპორტინგი, ბილბაო — სევილია

2 აპრილი. სპორტინგი — ბილბაო, რასინგი — ალბასეტე, სევილია — ოვიედო, სოსიედადი — ვალიადოლიდი, ტენერიფე — ბარსელონა, ვალენსია — ლა კორუნია, ატლეტიკო — სელტა, სარაგოსა — ბეტისი, კომპოსტელა — რეალი, ესპანიოლი — ლიგრონიესი

9 აპრილი. რეალი — სარაგოსა, ლოგრონიესი — კომპოსტელა, ალბასეტე — ესპანიოლი, ბილბაო — რასინგი, სპორტინგი — სევილია, ვალიადოლიდი — ოვიედო, ბარსელონა — სოსიედადი, ლა კორუნია — ტენერიფე, სელტა — ვალენსია, ბეტისი — ატლეტიკო

16 აპრილი. რასინგი — სპორტინგი, ესპანიოლი — ბილბაო, კომპოსტელა — ალბასეტე, სევილია — ვალიადოლიდი, ოვიედო — ბარსელონა, სოსიედადი — ლა კორუნია, ტენერიფე — სელტა, ვალენსია — ბეტისი, ატლეტიკო — რეალი, სარაგოსა — ლოგრონიესი

23 აპრილი. ბარსელონა — ვალიადოლიდი, ლა კორუნია — ოვიედო, რეალი — ვალენსია, სელტა — სოსიედადი, ბეტისი — ტენერიფე, ლოგრონიესი — ატლეტიკო, ალბასეტე — სარაგოსა, ბილბაო — კომპოსტელა, სპორტინგი — ესპანიოლი, რასინგი — სევილია

30 აპრილი. სევილია — ბარსელონა, ვალიადოლიდი — ლა კორუნია, ოვიედო — სელტა, სოსიედადი — ბეტისი, ტენერიფე — რეალი, ვალენსია — ლოგრონიესი, ატლეტიკო — ალბასეტე, სარაგოსა — ბილბაო, კომპოსტელა — სპორტინგი, ესპანიოლი — რასინგი

7 მაისი. ლა კორუნია — ბარსელონა, სელტა — ვალიადოლიდი, ბეტისი — ოვიედო, რეალი — სოსიედადი, ლოგრონიესი — ტენერიფე, ალბასეტე — ვალენსია, ბილბაო — ატლეტიკო, სპორტინგი — სარაგოსა, რასინგი — კომპოსტელა, ესპანიოლი — სევილია

14 მაისი. ოვიედო — რეალი, სევილია — ლა კორუნია, ბარსელონა — სელტა, ვალიადოლიდი — ბეტისი, სოსიედადი — ლოგრონიესი, ტენერიფე — ალბასეტე, ვალენსია — ბილბაო, ატლეტიკო — სპორტინგი, სარაგოსა — რასინგი, კომპოსტელა — ესპანიოლი

21 მაისი. სელტა — ლა კორუნია, ბეტისი — ბარსელონა, რეალი — ვალიადოლიდი, ლოგრონიესი — ოვიედო, ალბასეტე — სოსიედადი, ბილბაო — ტენერიფე, სპორტინგი — ვალენსია, რასინგი — ატლეტიკო, ესპანიოლი — სარაგოსა, კომპოსტელა — სევილია

28 მაისი. სარაგოსა — კომპოსტელა, ატლეტიკო — ესპანიოლი, ვალენსია — რასინგი, ტენერიფე — სპორტინგი, სოსიედადი — ბილბაო, ოვიედო — ალბასეტე, ვალიადოლიდი — ლოგრონიესი, ბარსელონა — რეალი, ლა კორუნია — ბეტისი, სევილია — სელტა

4 ივნისი. რეალი — ლა კორუნია, ბეტისი — სელტა, ლოგრონიესი — ბარსელონა, ალბასეტე — ვალიადოლიდი, ბილბაო — ოვიედო, სპორტინგი — სოსიედადი, რასინგი — ტენერიფე, ესპანიოლი — ვალენსია, კომპოსტელა — ატლეტიკო, სარაგოსა — სევილია

11 ივნისი. ბარსელონა — ალბასეტე, ლა კორუნია — ლოგრონიესი, ბეტისი — სევილია, სელტა — რეალი, ვალიადოლიდი — ბილბაო, ოვიედო — სპორტინგი, სოსიედადი — რასინგი, ტენერიფე — ესპანიოლი, ვალენსია — კომპოსტელა, ატლეტიკო — სარაგოსა

18 ივნისი. რეალი — ბეტისი, ალბასეტე — ლა კორუნია, ბილბაო — ბარსელონა, ლოგრონიესი — სელტა, სევილია — ატლეტიკო, სარაგოსა — ვალენსია, კომპოსტელა — ტენერიფე, ესპანიოლი — სოსიედადი, რასინგი — ოვიედო, სპორტინგი — ვალიადოლიდი

## ევროპის სუპერთასი. პირველი მატჩი

ლონდონი. „ჰაიბერი“. 1 თებერვალი. 38 041 მაყურებელი.

არსენალი — მილანი 0:0

„არსენალი“: სიმენი, დიქსონი, ვინტერბურნი, შვარცი, [illegible], ადამსი, იენსენი (ჰილიერი 84), რაიტი, ჰაჯსონი, სელი, კემპბელი (მორისონი 28).
„მილანი“: როსი, ტასოტი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, დონადონი, დესაი, სიმონე, სავიჩევიჩი (დი კანიო 80), მასარო.
მსაჯი: ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

ლონდონს ცხრაასამდე მილანელი ტიფოზი ესტუმრა, მაგრამ გენუასგან განსხვავებით ისინი იქ კარგად მოიქცნენ, მითუმეტეს, ინგლისელ ფანებთან „ურთიერთშეხვედრები“ მათი უპირატესობით არასდროს მთავრდება. თან თამაშიც ერთობ უინტერესო და უფერული გამოდგა. „ჰაიბერი“ მხოლოდ ორჯერ გამოცოცხლდა: პირველად პირველი ტაიმის მიწურულს, როცა მასპინძლებმა ერთ წუთში სამი საგოლე მომენტი შექმნეს და მეორედ 74-ე წუთზე, როცა გამოსწორებული ნარკომანი პოლ მერსონი დიდი ხნის შესვენების შემდეგ წარსდგა აუდიტორიის წინაშე. საპასუხო მატჩი 8 თებერვალს შედგება. „მილანს“ თითქოს არ უნდა გაუჭირდეს მოგება, მაგრამ გავიხსენოთ, რომ „არსენალი“ სტუმრად უფრო შედეგიანად თამაშობს (ბოლო საშინაო გამარჯვება გუნდმა 23 ოქტომბერს მოიპოვა), თან ბოლო ხანს იტალიური კლუბები სიმენს გოლს ვერ უტანენ: თასების თასის შარშანდელი გათამაშების მეოთხედფინალში „ტორინომ“, ფინალში „პარმამ“ და გასულ ოთხშაბათს „მილანმა“ ვერაფრით აიღეს ლონდონელთა კარი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრები, თუ ასე გაგრძელდა, 27 მარტს თბილისში სათადარიგო შემადგენლობით ჩამოვა. მიუნხენში გამართულ მინი-ფეხბურთის ტურნირზე ცხვირი გაიტეხა ნაკრებისა და „შტუტგარტის“ ნახევარმცველმა თომას შტრუნცმა. მას ოპერაცია უკვე გაუკეთეს, მაგრამ ექიმების დასკვნით მოედანზე გვიან გაზაფხულამდე ვერ დაბრუნდება. მიუხედავად ამისა, შტრუნცმა ახალ კლუბთან, მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი ახალ გუნდში მომავალი სეზონიდან ითამაშებს.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ „პალმეირასის“ ფეხბურთელი ედმონდო კვლავ ჩხუბისთავია. ამასწინათ მისი გუნდი „პორტუგეზესთან“ 1:2 დამარცხდა. ედმონდომ ამ შეხვედრაში მორიგი „შოუ“ მოაწყო, იგი ერთ-ერთ მეტოქეს მუხლებში მორაგბესავით წვდა და ძირს დაანარცხა. მსაჯმა იგი მოედნიდან გააძევა, მაგრამ ედმონდოს გაძევებას ხალხი ისეა დაჩვეული, რომ ეს ამბავი საგანგებო მსჯელობის საგნად სულაც არ ქცეულა. პალმეირასელი გასულ სეზონში ხუთჯერ გააძევეს, აქედან ბოლოჯერ ისეთი მუშტიკრივისას, ორი გუნდი ერთმანეთს რომ დაერია. ამასობაში „ფლამენგო“ ვარსკვლავების გადაბირებას განაგრძობს. მსოფლიოს ჩემპიონი მაზინიო, რომელიც ამერიკის ჩემპიონატის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა და სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა, კლუბმა რომარიოსავით ითხოვა, ოღონდ ერთ მილიონ დოლარად და სეზონის ბოლომდე.

ᲐᲚᲟᲘᲠᲨᲘ ფანატიკოს ისლამისტთა [illegible] ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის [illegible] მკვლელის ამბავმა მთელი მსოფლიო აღ[illegible] შფოთა. გამოძიება რასა იქმს, ვერაფერს

### ფეხბურთის რუკასთან



გეტყვით, მაგრამ ახალი პრეზიდენტი უკვე დანიშნულია. იგი 48 წლის ვექილი ლაბრი ბრიგი გახლავთ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ 74 წლისა კიბოთი გარდაიცვალა სერ ჯონ სმიტი, რომელიც 1973 წლიდან 1990-მდე „ლივერპულის“ პრეზიდენტი გახლდათ. მის ეპოქაში კლუბმა 22 სხვადასხვა ჯილდო მოიპოვა, მათ შორის 4-ჯერ ჩემპიონთა და ერთხელ უეფას თასი. სერ ჯონს დიდი ღვაწლისთვის ინგლისის დედოფლისგან დიდგვაროვანის წოდება ჰქონდა ნაბოძები.

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, სან დიეგოში მექსიკა ურუგვაის შეხვდა და 1:0 მოუგო. გოლი დებიუტანტმა რიცომ მე-19 წუთზე გაიტანა.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ჩემპიონატში ლიდერობს „აიაქსი“. მან 3:1 სძლია „ბრედას“, ბოლო ტურში კი 3:2 „ვიტესს“ მოუგო. „აიაქსი“ მდევარ „როდას“, რომელმაც წინა ტურში „ვიტესს“ თავს ლაფი დაასხა 6:0, სამი ქულით უსწრებს.

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ შაბათს ჩემპიონატის ლიდერმა „რეინჯერსმა“ შინ ვერ მოუგო „დანდი იუნაიტედს“ — 1:1, მაგრამ უახლოესმა მდევარმა „ჰიბერნიანსმა“ შინ უეცრად 1:2 წააგო [illegible] „პარტიკ თისლთან“, რისი წყალობით „რეინჯერსი“ მეტად, 15 ქულით დაწინაურდა.

## მწვრთნელებს რომარიო მოსწონთ

90-იანი წლებიდან ტრადიციულ გამოკითხვებს კიდევ ერთი შეემატა — ფიფა პორტუგალიურ გაზეთ „ბოლასთან“ ერთად ატარებს ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების გამოკითხვას, რომელიც წლის საუკეთესო ფეხბურთელს ადგენს. თითოეული მწვრთნელი საუკეთესოთა სამეულს ასახელებს (I ადგილი 5 ქულა, II – 3, III – 1). წლევანდელ რეფერენდუმში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რომარიომ – 346 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი („ფრანს ფუტბოლის“ ვერსიით) ხრისტო სტოიჩკოვი – 100 ქულა. მას ოცი ქულით ჩამორჩება რობერტო ბაჯო.

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო წლევანდელ რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია ალექსანდრე ჩივაძეს. რაც შეეხება მის გამოკითხულ კოლეგებს, მათ შორის ზოგი „ეგოისტი“ გამოდგა და მხოლოდ თავისი შეგირდები მიიჩნია სამეულის ღირსად, მაგრამ თუ პენევს, საკის, ზაგალოსა და კლემენტესაც კი გაუგებს კაცი, სენტვინსენტისა და გრენადინის მწვრთნელი ჰენრი ვიდალი მთლად უნამუსო ყოფილა – მსოფლიოში მესამე ფეხბურთელი ჩემი თანამემამულე ველოქსი არისო.

გთავაზობთ გამოკითხვაში მონაწილე ზოგიერთი მწვრთნელის სამეულს.

დიკ ადვოკაატი (ჰოლანდია) ---------- რომარიო, ბერხკამპი, იონკი
მაიკ სმიტი (უელსი) ---------- რომარიო, რ. ბაჯო, გიგზი
ბერტი ფოგტსი (გერმანია) ---------- რომარიო, კლინსმანი, პრიუდომი
დიმიტარ პენევი (ბულგარეთი) ---------- სტოიჩკოვი, ბალაკოვი, ლეჩკოვი
რიქარდ მიოლერ-ნილსენი (დანია) ---------- რომარიო, მათეუსი, ბ. ლაუდრუპი
ემე ჟაკე (საფრანგეთი) ---------- რომარიო, ჰაჯი, დ. ბაჯო
ექტორ ნუნიესი (ურუგვაი) ---------- მალდინი, რომარიო, სტოიჩკოვი
ანდონ დონჩევსკი (მაკედონია) ---------- სტოიჩკოვი, შიფო, ბ. ლაუდრუპი
პოლ ვან ჰიმსტი (ბელგია) ---------- რომარიო, პრიუდომი, მალდინი
ტერი ვენეიბლზი (ინგლისი) ---------- რომარიო, რ. ბაჯო, მალდინი
ბრაიან ჰემილტონი (ჩრდ. ირლანდია) ---------- რომარიო, რ. ბაჯო, მალდინი
ანგელ იორდანესკუ (რუმინეთი) ---------- ჰაჯი, რომარიო, სტოიჩკოვი
ანატოლი ბიშოვეცი (კორეა) ---------- რომარიო, ჰაჯი, ბებეტო
ალან სიმონსენი (ფარერები) ---------- რომარიო, რ. ბაჯო, მ. ლაუდრუპი
კრეიგ ბრაუნი (შოტლანდია) ---------- რომარიო, მალდინი, ბერხკამპი
ანტონინ პეხნიჩეკი (საამიროები) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, კანტონა
იანის გილისი (ლატვია) ---------- რომარიო, მალდინი, ჰაჯი
ჰერბერტ პროხაზკა (ავსტრია) ---------- რომარიო, ჰაჯი, კლინსმანი
ჰენრიკ აპოსტელი (პოლონეთი) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, პრიუდომი
იუკა იკალაინენი (ფინეთი) ---------- რომარიო, რედონდო, მათეუსი
ჯეკი ჩარლტონი (ირლანდია) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, პალიუკა
პაველ სადირინი (რუსეთი) ---------- რომარიო, რ. ბაჯო, სტოიჩკოვი
იოზეფ ვენგლოში (სლოვაკეთი) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, რ. ბაჯო
მარიო ზაგალო (ბრაზილია) ---------- რომარიო, ბებეტო, დუნგა
ხავიერ კლემენტე (ესპანეთი) ---------- იერო, კამინერო, სერხი
ბობი კლარკი (ახალი ზელანდია) ---------- ბარეზი, მალდინი, მაურო სილვა
როი ჰოჯსონი (შვეიცარია) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, შვარცი
პიეტრო გედინი (მალტა) ---------- რომარიო, მალდინი, რაველი
ტომი სვენსონი (შვედეთი) ---------- რომარიო, ბროლინი, მაურო სილვა
კონსტანტინოს პოლიქრონიუ (საბერძნეთი) -- მაურო სილვა, შამოტი, გიგზი
კალმან მესეი (უნგრეთი) ---------- რომარიო, ჰაჯი, მალდინი
არიგო საკი (იტალია) ---------- მალდინი, რ. ბაჯო, ბარეზი
რაბაჰ მაჯერი (ალჟირი) ---------- რ. ბაჯო, რომარიო, ჰაჯი
ალგიმანტას ლიუბინსკასი (ლიტვა) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, კლინსმანი
მიგელ მეხია ბარონი (მექსიკა) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, კამპოსი
ანტონიო ოლივეირა (პორტუგალია) ---------- რომარიო, რ. ბაჯო, ბერხკამპი
პოლ ფილიპი (ლუქსემბურგი) ---------- რომარიო, მალდინი, ჰაჯი
მირკო იოზიჩი (ჩილე) ---------- სტოიჩკოვი, რომარიო, სამურანო
ჯორჯო ლეონი (სან-მარინო) ---------- რ. ბაჯო, რომარიო, სტოიჩკოვი
სერგეი ბოროვსკი (ბელარუსი) ---------- რომარიო, სტოიჩკოვი, ჰაჯი

BEAU (10) MONDE

# ლოთარ მათეუსი

დაიბადა 1961 წლის 21 მარტს ერლანგენში.
ცხოვრობდა ჰერცოგენაურახში, მიონხენგლადბახში, მიუნხენ-გრიუნვალდში, კარიმატეში, ფოკინგში.
მშობლები: ჰაინცი, კატარინა.
სიმაღლე: 1.74; წონა: 72 კგ.
თმა: წაბლისფერი; თვალები: წაბლისფერი
დაამთავრა საშუალო სკოლა
პროფესია: ოთახის დიზაინერი
მეუღლე: ლოლიტა
შვილები: ალიზა — 8 წლის, ვიოლა — 6 (პირველი ცოლისგან), ლორისი — 2.
ხასიათი: ნებისყოფიანი, გულღია, ჰარმონიული, პედანტური, ფეთქებადი.
მანქანა: მერსედესი 500 E
ჩვეულება: უყვარს სახლში ტრიალი და ოთახების დალაგება.
კარიერა: ჰერცოგენაურახი (1970-1979), „ბორუსია“ მიონხენგლადბახი (1979-1984), „ბაიერნი“ (1984-1988), „ინტერი“ (1988-1992), „ბაიერნი“ (1992-).
პირველი თამაში ნაკრებში: 14.6.1980. ევროპის ჩემპიონატზე ნეაპოლში ჰოლანდიის წინააღმდეგ (3:2)
მიღწევები: მსოფლიოს ჩემპიონი (1990), გერმანიის ჩემპიონი (1985, 1986, 1987, 1994), იტალიის ჩემპიონი (1989), გერმანიის თასის მფლობელი (1986 „ბაიერნი“), უეფას თასის მფლობელი (1991, „ინტერი“), გერმანიის საუკეთესო სპორტსმენი (1990), ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (1990), გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი (1990).
გამორჩეული თვისებები. პირად ცხოვრებაში: ყოველთვის მზადაა დასახმარებლად, ცხოვრების დევიზი: „ყოველთვის წინ უნდა იყურო“. თამაშის დროს: კომპლექსურია, უნაკლო წინამძღოლი.
სუსტი მხარეები. პირად ცხოვრებაში: წრაფად იმატებს წონაში. თამაშის დროს: არა აქვს.
ტრავმები: გასწყვეტია მყესი მარცხენა ფეხის ტერფზე და ჯვარისებრი მყესი მარჯვენაზე.
რეკლამას უკეთებს: პუმას, პანასონიკს, მერსედესს, ბომიკოს, ენერჯაიზერს.
უყვარს: მანქანით სწრაფი სიარული (მილანიდან მიუნხენამდე სამსაათნახევარში ჩასულა).
მასზე ამბობენ: „მე ვადიდებ პლატინის, მე მხიბლავს მარადონა, მაგრამ რომ გავიმარჯვო, მათეუსი მჭირდება“ (ჯოვანი ტრაპატონი, როცა იგი „ინტერის“ მწვრთნელი იყო).



# ამბიცია, სიყვარული და ფეხბურთი

### მარადონა დამიფასებს...

— თქვა ლოთარ მათეუსმა და მარადონას უდიდესი ფეხბურთელი უწოდა. რას დაუფასებს არგენტინელი მათეუსს? იმას, რომ მათი ათამდე შეხვედრის დროს გერმანელთა ლიდერი დიეგოს რაინდულად ეთამაშა. ისინი ფეხბურთელები არიან და გრძნობენ, რომელი მეტოქეა ვაჟკაცი — ბრძოლისას რომ პატივსაც გცემს, რომელი კი სულმდაბალი, ღირსება ჩირადაც რომ არ უღირს. სანამ მოედანზე პირველად შეებმებოდა, მათეუსს მარადონას თამაში ვიდეოზე ჰქონდა ნანახი. კარგად ახსოვს მატჩის წინ როგორ ღელავდა. შეხვედრა დამთავრდა და გერმანელმა იგრძნო, რომ საოცარი გამოცდილება შეიძინა. მას მერე ხანიც საკმაო გამოხდა. ლოთარმა კარგად იცის, რომ არგენტინელს მეგობარს ვერ უწოდებს, მაგრამ ერთმანეთს გულწრფელად სცემენ პატივს. 1986 წლის ზაფხულს კი მშვიდად განსჯის დრო არ იყო. მეხიკოში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იმართებოდა. საფეხბურთო სამყაროს უმაღლესი ტიტულის ბედი იმ დღეს წყდებოდა. მღელვარებისგან ჰაერიც კი თრთოდა, როდესაც ფრანც ბეკენბაუერმა ლოთარ მათეუსს „განაჩენი გამოუტანა“, პერსონალურად მარადონას წინააღმდეგ თამაში დაავალა. მარადონამ განაჩენი აღასრულა. გერმანელთა კარში გასული სამი გოლიდან, ერთი იმ ჯარიმიდან შესრულდა, მათეუსის მიერ დიეგოს წაქცევისთვის რომ დაინიშნა, მეორე და მესამე კი არგენტინელი გენიოსის პასებით გავიდა. ოთხი წლის შემდეგ ფინალი განმეორდა. განსხვავება ის იყო, რომ მოქმედებამ ევროპაში, იტალიაში გადმოინაცვლა და ფეხბურთის განგებამ მათეუსის გუნდის გამარჯვება ინება. ფინალის წინ ბეკენბაუერი ჟურნალისტებმა გაწურეს. „მათეუსი მარადონას აღარ აედევნება — იფიცებოდა მწვრთნელი — შესაძლოა, მეურვე სხვა იყოს, შესაძლოა, საერთოდ ზონა ვითამაშოთ, მაგრამ ძველი აღარ განმეორდება. ლოთარს ცენტრში თავისი საგანგებო როლი აქვს.“ ეს როლი მან კარგად შეასრულა. გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, თუმცა იმ თამაშში ერთი უცნაური ამბავი მაინც მოხდა. გახსომებათ, ფიფა-ს თასის ბედი მაშინ ერთადერთმა პენალტმა გადაწყვიტა. როდესაც მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, ყველასათვის მოულოდნელად დარტყმა მათეუსმა კი არა, ბრემემ შეასრულა. რა მოხდა, ნუთუ ლიდერს შეეშინდა? „პირველ ტაიმში მარჯვენა ბუცი შემომეხა — იგონებს კაპიტანი — შესვენებაზე ახალი ჩავიცვი, მაგრამ რაღაც ვერ მოვირგე. სწორედ ამიტომ იყო, პენალტი ბრემეს რომ მივანდე.“

### ბრემე კი მათეუსს არ ეჩხუბება

ისინი მეგობრები არიან, უფრო სწორად, ყოფილან, ისე, რომ თავადაც არ იცოდნენ. ეს ამბავი სწორედ იტალიაში, 9 ივლისს დაადგინეს. დაახლოებით დილის ექვს საათზე ორივენი აივანზე ისხდნენ და აისს გასცქეროდნენ. „ანდი — თქვა მათეუსმა — ჩვენ უკვე ოთხი კვირაა ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობთ და არ გვიჩხუბია.“ „სასაცილოა — უპასუხა ბრემემ, რა ხანია, თანაგუნდელები ვართ „ბაიერნში“, „ინტერსა“ და ნაკრებში და მხოლოდ ახლა მივხვდით, რომ მეგობრები ვართ.“

გერმანიის გუნდში ბეკენბაუერის ხანას ფოგთსისა მოჰყვა. ახალმა მეთაურმა ანდრეას ბრემეს ალმაცერად შეხედა და ნაკრებიდან გაუშვა, მაგრამ 9 ივლისს აღმოჩენილი მეგობარი კლდესავით დადგა და თავისი გაიტანა — ბრემე დააბრუნეს, თუმცა ბელგიელებთან მატჩამდე. აქ კი თვით ლოთარმაც ვეღარ უშველა. ის კი არა, საშველად საქმე კინაღამ თავად გაუხდა.

### მათეუსი ფიოლერმა გალახა

ეს ამბავი ასე იყო: დაინიშნა თუ არა გერმანიის ნაკრების მწვრთნელად, პირველი, რასაც ფოგთსი შეეჯახა, მათეუსის ამბიცია გახლდათ. საბაბით თუ მის გარეშე, ფეხბურთელი წარამარა საკუთარ სიდიადეზე ამახვილებდა ყურადღებას და თან სულ იმას გაიძახოდა, ბეკენბაუერმა ჩემზე თქვა შეუცვლელიაო. წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის პრიზის მისაღებად იგი „ვერაისის“ მაღაზიაში ორიათას ხუთას მარკად შეძენილ სმოკინგში გამოეწყო, ფეხზე უძვირფასესი ფეხსაცმელი მოირგო და ცერემონიალზე ისე მივიდა. ლოთარი ვარსკვლავის ღიმილს აგებებდა ვიდეოკამერებს და „თავმდაბლურად“ აცხადებდა თქვენ აზვიადებთ, ჭეშმარიტი ფეხბურთი მე სულაც არ შემიქმნიაო. ამას რომ ამბობდა, მისი გამომეტყველება საპირისპიროს ღაღადებდაო, ამბობენ ენამწარე თვითმხილველები. ასეთი დღესასწაულის მერე ყავარზე კუდგადებული ვარჯიშზე როგორ მოიქცეოდა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. წვრთნის სანახავად მისული გულშემატკივრის თვალწინ კაპიტანი ისეთ ხელების შლას და მწვრთნელთან კამათს აჩაღებდა, თქვენი მოწონებული. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. მთელი გუნდი აკვირდებოდა „დუელს“. ფოგთსი გრძნობდა, რომ ეს მისთვის გამოცდა იყო და ფეხბურთელების წინაშე ავტორიტეტი რომ არ შელახვოდა, აუცილებლად უნდა გაემარჯვა. მწვრთნელმა ჯერ მოთამაშის დანამუსება სცადა, იფიქრა, სიტყვით მოვიყვან გონსო — ინტელექტს დაეყრდნო, ყველაფრის ლოგიკით და ახსნა-განმარტებით მოგვარებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. იგი ბეკენბაუერი არ იყო, მისი არგუმენტი მოთამაშეს უსიტყვოდ რომ მიეღო. მეტი რა ჩარა ჰქონდა, მათეუსი სასტუმროს ნომერში დაიბარა და პირდაპირ განუცხადა, ან კარგად მოიქეცი, ან ნაკრებს დაემშვიდობეო. ამან გაჭრა თუ რა იყო, მათეუსმა პირველსავე შეხვედრაში უელსთან საუცხოოდ ითამაშა, თუმცა ცოტა ხანში ძველებურად აურია. მაშინ ფოგთსმა ახალ ხერხს მიმართა — მომდევნო მატჩში ჰესლერის ნაცვლად მოედანზე უფრო შემტევი, ერთგვარად გამთამაშებლის ნიჭით დაჯილდოებული თომას დოლი გაიყვანა. მათეუსი მწვრთნელს ხრიკს მიუხვდა — დოლის გვერდით იგი ერთადერთი თამაშის შემქმნელი აღარ იქნებოდა და უფრო პროზაული, მუშა ნახევარმცველის საქმის შესრულებაც მოუწევდა. უახლოეს ვარჯიშზე, ვარსკვლავმა ახალი „შოუს“ მოწყობა სცადა, მაგრამ როგორც კი პირი დააღო, მისკენ რუდი ფიოლერი გაემართა. ყველა სასეიროდ მოემზადა. ფიოლერმა არც აცია, არც აცხელა და ახლოდან ისეთი უთავაზა ბურთი მკერდში თავის კაპიტანს, რომ სულ სიმწრის ცრემლი აღაინა. „ეროვნული გუნდის წევრი ეგოისტი არ უნდა იყო — მკაცრად უთხრა ფიოლერმა — აქ თამაში დიდი პატივია.“ მათეუსმა ბიჭებს გახედა და მიხვდა, რომ დამარცხდა.

ფიოლერმა ერთხელაც გაილაშქრა მათეუსზე მაგრამ ეს სხვა დროს მოხდა, როდესაც...

### ჩვენი ლოთარი იდიოტია

არც მეტი არც ნაკლები, ასე განაცხადეს მაშინ პრესაში საკუთარ შვილზე კატარინა და ჰაინც მათეუსებმა და ეს აზრი განმარტეს კიდეც: „იდიოტია, რადგან ვიღაც ქარაფშუტა ქალის გულისთვის საუცხოო მეუღლე და დედა მიატოვა.“ საუცხოო მეუღლეს და ორი შვილის დედას სახელად სილვია ერქვა. სილვია და ლოთარი თანაკლასელები იყვნენ. მეოთხე კლასიდან უყვარდა ლოთარს გოგონა, მაგრამ მხნეობის მოსაკრებად და პაემნის დასანიშნად მთელი ოთხი წელი დასჭირდა. შემდეგ ყველაფერი კარგად აეწყო, ოცი წლისანიც არ იყვნენ, 1981-ში რომ იქორწინეს. სილვიამ უსიტყვოდ შესწირა მეუღლის კარიერას პრესტიჟულ უნივერსიტეტში სწავლა-განათლება და ფეხბურთელის ცოლის ხვედრს მხნედ დაუხვდა. ახალგაზრდებს ორი შვილი შეეძინათ. პირველის დაბადება ლოთარმა იმით აღნიშნა, რომ მეუღლეს უძვირფასესი ბრილიანტის ყელსაბამი აჩუქა, მეორის გაჩენით გახარებულმა კი იახტა შეიძინა და „სილვია“ უწოდა. მათეუსების აგარაკს კარიმატეში, იტალიის ალპებში რომ მდებარეობს, გამუდმებით იცავდა ხუთი კაცი. მათი ოჯახური იდილია სამაგალითო იყო და აი... მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა! მთებში გადაკარგულ რომელიღაც მოტელში შემთხვევამ „ბილდის“ ერთი კორესპონდენტი მოახვედრა. მეორე თუ მესამე დღეს ევროპის გაზეთები აჭრელდა იმავე მოტელში განმარტოებული მათეუსისა და ყოფილი „მის შვეიცარიის“, პოპულარული ტელე შოუს წამყვანის ლოლიტა მორენოს ფოტოებით. სილვია ქმრის ღალატს არ იჯერებდა. შემდეგ თავი იმით დაიმშვიდა, არაუშავს, ერთხელ ყველა კაცი გიჟდება, ლოთარიც გაერთობა, მაგრამ მოყირჭდება და ისევ დამიბრუნდებაო. შეცდა. მათეუსი ცოლს გაეყარა, ლოლიტაზე იქორწინა და იახტა, ადრე „სილვია“ რომ ერქვა „ლოლიტად“ მონათლა. სილვია მათეუსი დედამთილ-მამამთილმა შეიკედლა, თუმცა როგორც ამბობენ, სასამართლომ მას შემდგომ მიუნხენის სახლი, კარიბიულ[illegible] ვილა და დიდძალი თანხაც არგუნა. ახალ ფრაუ მათეუსს კი... სხვა რა გზა ჰქონდა, ტელემოტუს თავი დაანება ([illegible] 500 ათასი მარკა ყოფილა), წინსაფარი შეიბა და ფეხბურთის ვარსკვლავს მესამე შვილი აჩუქა. ახალი სიყვარულით თავგზააბნეული მათეუსი, ცხადია, მოედანზე ისე ვეღარ ირჯებოდა. ერთ-ერთი თამაშის წაგება ფოგთსმა პირადად მას დააბრალა, შემდეგ კი საერთოდ ზემოთ ნახსენები დოლით შეცვლა მოუნდომა.

მათეუსმა აჯანყება გადაწყვიტა, მაგრამ, როგორც კი პირი დააღო მისკენ რუდი ფიოლერი გაემართა... „მორჩი ინტრიგების ხლართვას და ის მზაკვარი შვეიცარიელი ქალიც მოიშორე თავიდან“ — უთხრა ფიოლერმა და კაპიტანს ცხვირთან მუშტი მიუტანა. მათეუსმა ქალი არ მოიშორა და ბინის მორთვასაც საკუთარი ხელით შეუდგა, ვინაიდან

### მათეუსი ოთახის დიზაინერია

„თუ არ იცით, რას ნიშნავს, აგიხსნით — გვეუბნება ფეხბურთელი — ამ პროფესიაში ოთხი რამ არის გაერთიანებული: დეკორატორის საქმე, დურგლობა, მქარგველობა, ხალიჩების ქსოვა. მე წესრიგის მოყვარული კაცი ვარ და ეს საქმე ჩემთვის ზედგამოჭრილია.“

სამწლიანი სწავლის შემდეგ, გამოცდისთვის მან მძიმე დავალება ირჩია. მას ძველი სავარძელი უნდა განეახლებინა. „მე ამოვქარგე გადასაფარებელი, შიგნით კი ღრუბლის ნაცვლად ჩალა ჩავაფინე.“

მიუხედავად გარჯისა, ლოთარმა წვრთნაშიც და პრაქტიკაშიც სამიანები მიიღო და მიონხენგლადბახს მიაშურა, სადაც „ბორუსიასთან“ ახალდადებული კონტრაქტი უხმობდა. დიზაინერობა მისი ოჯახის დანარჩენი წევრების პროფესიას ერთგვარად ეხმიანება. დედ-მამა და ძმა, ვოლფგანგი ხომ „პუმას“ ქარხანაში მუშაობენ. მამა 30 წელია იქ არის, დედა 20, ძმა — 10. და მაინც, მათეუსი ფეხბურთელია, თანაც დიდი ფეხბურთელი და უფრო საყვარელიც. რომ მკერვალობა, რომელსაც მშობლების დაჟინებული თხოვნით დაეუფლა, არასოდეს გამოადგება. ფრანც ბეკენბაუერს მასზე უთქვამს, ლოთარს შეუძლია მომავალში ჩემი დონის მწვრთნელი გახდესო. დონისა რა მოგახსენოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ მათეუსი ქარგვისას ან დურგლობისას ძნელი წარმოსადგენია. იგი პატარაობიდან ფეხბურთით იყო შეპყრობილი და სულ ერთი ციდა ოთახში ბურთს რომ აგორებდა, დედა მეკარეობას უწევდა. კატარინა მათეუსი ხშირად იხსენებს, როგორ ბრუნდებოდა შინ მისი ატირებული ბიჭუნა და საყვედურობდა, ასეთი სუსტი რატომ გამაჩინე, ფეხბურთს კარგად ვერ ვთამაშობო.

### ლიბერო უმარტივესი პოზიციაა

ასე ფიქრობს მრავლისმხილველი ვეტერანი. იგი, როგორც ჩანს, კარიერას მცველად დაასრულებს, ისე როგორც დაიწყო. მაშინ, 1980 წელს იტალიაში, ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიელების წინააღმდეგ მათეუსმა მარცხენა მცველი ბერნარდ დიცი შეცვალა და ხუთ წუთში მისი შეცდომის გამო გერმანიის კარში პენალტი დაინიშნა. მერე მცველობიდან მოედნის შუაში გადაინაცვლა, ოღონდ ჰანსი მიულერის და ბერნდ შუსტერის თადარიგში იყო. ნელ-ნელა გერმანიის მთავარი „შპილმახერი“ ანუ ჩვენებურად გამთამაშებელი გახდა, ბოლოს კი... „ნაკრებსა და „ბაიერნში“ ლიბერო სჭირდებოდათ, თონი და ჰელმერი კი ერთდროულად დაშავდნენ. თურმე რამხელა სხვაობა ყოფილა ჩემს ძველ და ახალ ფუნქციებს შორის, დამავიწყდა ნახევარმცველის საშინელი საქმე და წვივში მირტყმებით გამოწვეული ტკივილი. ლიბერობა ასმაგად იოლია: აკვირდები თამაშს და საჭირო მომენტში ერთვები, მეტი არაფერი.“ — აღიარა ლოთარმა.

დღეს დიდი ფეხბურთელი პაციენტია. არავინ უწყის, როდის მოშუშდება მისი აქილევსის მყესი. თუ მათეუსის ასაკსაც გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რომ არათუ 29 მარტს საქართველოს ნაკრებთან, შესაძლოა საერთოდაც ვეღარ ითამაშოს.

ილია ბაბუნაშვილი



ლოლიტა და ლოთარი

# 45-ე «ოლ-სტარი»

კვირას არიზონის შტატის დედაქალაქ ფინიქსის „ამერიკა ვესტ არენაში“ გაიმართება NBA-ის ტრადიციული „ოლ-სტარის“ მატჩი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციების ნაკრები გუნდები 45-ედ შეიბმებიან. შეგახსენებთ, რომ ნაკრებების სასტარტო ხუთეულებს საყოველთაო გამოკითხვით ასახელებენ გულშემატკივრები; ხოლო დანარჩენ 7-7 მოთამაშეს — ასოციაციის ოცდაშვიდივე კლუბის მწვრთნელები. გთავაზობთ 45-ე „ოლ-სტარის“ მონაწილეებს (ფრჩხილებში მითითებულია მოთამაშის კლუბი და მერამდენედ ითამაშებს „ოლ-სტარს“)

## აღმოსავლეთი

ხუთეული
გამთამაშებელი: ანფერნი პარდევეი (ორლანდო მეჯიქი, 1)
მსროლელი: რეჯი მილერი (ინდიანა პეისერზი, 4)
ფრთა: სკოტი პიპენი (ჩიკაგო ბულზი, 5)
თავდამსხმელი: გრანტ პილი (დეტროიტ პისტონზი, 1)
ცენტრი: შაკილ ო ნილი (ორლანდო მეჯიქი, 3)

დანარჩენები
დანა ბაროსი (ფილადელფია-76, 1)
ჯო დუმარსი (დეტროიტ პისტონზი, 4)
ტაირონ პილი (კლივლენდ კავალიერზი, 1)
ვინ ბეიკერი (მილუოკი ბაქსი, 1)
ლარი ჯონსონი (შარლოტ პორნეთსი, 3)
პატრიკ იუინგი (ნიუ-იორკ ნიქსი, 9)
ალონზო მურნინგი (შარლოტ პორნეთსი, 2)
მწვრთნელი: ბრაიან პილი (ორლანდო მეჯიქი)

## დასავლეთი

ხუთეული
გამთამაშებელი: დან მარლი (ფინიქს სანზი, 3)
მსროლელი: ლატრელ სპრიუელი (გოლდენ სტეიტ ვორიორზი, 2)
ფრთა: ჩარლზ ბარკლი (ფინიქს სანზი, 8)
თავდამსხმელი: შონ კემფი (სიეტლ სუპერსონიქსი, 3)
ცენტრი: აკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონ როკიტსი, 10)

დანარჩენები
ჯონ სტოქტონი (იუტა ჯაზი, 7)
გერი პეიტონი (სიეტლ სუპერსონიქსი, 2)
მიტჩ რიჩმონდი (საკრამენტო კინგზი, 2)
დეტლეფ შრემპფი (სიეტლ სუპერსონიქსი, 3)
სედრიკ სებალოსი (ლოს-ანჯელეს ლეიკერზი, 1)
კარლ მელოუნი (იუტა ჯაზი, 8)
დევიდ რობინსონი (სან-ანტონიო სფურზი, 6)
მწვრთნელი: პოლ ვესტფოლი (ფინიქს სანზი)



აკიმ ოლაჯუონი კვირას მეათედ ითამაშებს „ოლ-სტარს“

ევროპის მორიგი ჩემპიონატებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადებისა და მათი მეტოქეების შესახებ „სარბიელის“ მკითხველებმა უკვე იციან. ახლა გთავაზობთ ამ შეჯიბრებების სრულ რეგლამენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაცები

ფინალი: 1997 წლის 27 ივნისი — 6 ივლისი
ბადალონა (ესპანეთი)

**A** ჯგუფი. 24-28 მაისი, 1995. ბირმინგემი (ინგლისი)
ინგლისი, პოლონეთი, საქართველო, დანია, ლუქსემბურგი, უელსი
**B** ჯგუფი. 24-28 მაისი. კავადარცი (მაკედონია)
მაკედონია, პოლანდია, ბელარუსი, ნორვეგია, ირლანდია, ალბანეთი
**C** ჯგუფი. 22-28 მაისი. ჟენევა (შვეიცარია)
შვეიცარია, რუმინეთი, პორტუგალია, ავსტრია, ისლანდია, კვიპროსი, შოტლანდია

ამ სამი საკვალიფიკაციო ჯგუფიდან სამ-სამი საუკეთესო შეუერთდება ევროპის 21 ნაკრებს. შემდეგ შეიქმნება ხუთი 6-გუნდიანი შესარჩევი ჯგუფი, სადაც მატჩები გაიმართება მიმოსვლით. აქ პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი გავლენ ფინალურ ეტაპზე. მათ დაემატება მასპინძელი ქვეყანა და ევროპის 1995 წლის ჩემპიონი.

## ქალები

ფინალი: 1997 წლის 13-22 ივნისი.
სოპრონი, მიშკოლცი, ბუდაპეშტი (უნგრეთი)

**A** ჯგუფი. 22-28 მაისი, 1995 ნამიური (ბელგია)
ბელგია, სლოვენია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ფინეთი, დანია, შოტლანდია, საქართველო
**B** ჯგუფი. 22-28 მაისი. თელ-ავივი (ისრაელი)
ისრაელი, ავსტრია, ბულგარეთი, საბერძნეთი, ირლანდია, შვეიცარია, X — ამ გუნდის ვინაობა გაირკვევა ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის შემდეგ
**C** ჯგუფი. 22-29 მაისი. ანკარა (თურქეთი)
თურქეთი, აზერბაიჯანი, ინგლისი, პოლანდია, შვედეთი, პორტუგალია, ლატვია, Y — ამ გუნდის ვინაობა გაირკვევა ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის შემდეგ

ორ-ორი უძლიერესი შეუერთდება ევროპის 12 ნაკრებს. შემდეგ შეიქმნება სამი 6-გუნდიანი შესარჩევი ჯგუფი. თამაშები გაიმართება 1996 წლის 22-26 ივნისს ერთწრიან ტურნირებად (ჩატარების ადგილები არ დადგენილა). შესარჩევი ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო გავა ფინალურ ეტაპზე. მათ დაემატებიან მასპინძელი ქვეყანა და ევროპის 1995 წლის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი.

## ახალგაზრდები. ვაჟები.

ფინალი. 1996 წლის 30 ივნისი — 7 ივლისი.
ბურსა, გებზე, სტამბოლი (თურქეთი)

**A** ჯგუფი. 5-10 ივლისი, 1995. ტალინი (ესტონეთი)
ესტონეთი, ხორვატია, საქართველო, ისრაელი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, დანია
**B** ჯგუფი. 5-10 ივლისი. პორტო (პორტუგალია)
პორტუგალია, სლოვენია, გერმანია, ლიტვა, შვედეთი, მაკედონია, უელსი
**C** ჯგუფი. 5-10 ივლისი. კონსტანცა (რუმინეთი)
რუმინეთი, საბერძნეთი, ფინეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია, ბოსნია-ჰერცოგოვინა
**D** ჯგუფი. 5-10 ივლისი. იამბოლი (ბულგარეთი)
ბულგარეთი, რუსეთი, უნგრეთი, პოლანდია, ჩეხეთი, იუგოსლავია, ალბანეთი

ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი პირდაპირ ხვდებიან ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მათ დაემატებათ მასპინძელი ქვეყანა და ევროპის წინა ჩემპონატის უძლიერესი სამეული.

# პასების ახალი მეფე

1995 წლის 1 თებერვალს გაუმჯობესდა NBA-ის აბსოლუტური რეკორდი პასებში, რომელიც მეჯიქ ჯონსონს ეკუთვნოდა (9921). „იუტა ჯაზის“ გამთამაშებელი ჯონ სტოქტონი თავის მეთერთმეტე სეზონში ასოციაციის საუკეთესო ასისტენტად (პასის მიმცემად) აღზევდა.



**ჯონ სტოქტონი**

დაიბადა 1962 წლის 26 მარტს ვაშინგტონის შტატის ქალაქ სპოკანში.
სიმაღლე 186 სმ, წონა 79 კგ
დაამთავრა გონზაგას უნივერსიტეტი (სპოკანში)
1984 წლის დრაფტში მე-16 ნომრად ამოირჩია „იუტა ჯაზმა“, სადაც დღემდე თამაშობს გამთამაშებლად.
6-ჯერ მიიღო მონაწილეობა „ოლ-სტარში“. 1993 წელს იყო მისი უძვირფასესი მოთამაშე (კარლ მელოუნთან ერთად).
NBA-ის რეკორდსმენი ერთ სეზონში გაკეთებული პასებით (1164, 1990-91 წლების სეზონი). ერთადერთი მოთამაშეა, ვინც ზედიზედ 5 სეზონის მანძილზე, ყოველ სეზონში ათასზე მეტ პასს აკეთებდა (1988-92).
1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

სტოქტონის სტატისტიკა

| სეზონი | პასი | ქულა | საშ. შედ. |
|---|---|---|---|
| 84-85 | 415 | 458 | 5,6 |
| 85-86 | 610 | 630 | 7,7 |
| 86-87 | 670 | 648 | 7,9 |
| 87-88 | 1128 | 1204 | 14,7 |
| 88-89 | 1118 | 1400 | 17,1 |
| 89-90 | 1134 | 1345 | 17,2 |
| 90-91 | 1164 | 1413 | 17,2 |
| 91-92 | 1126 | 1297 | 15,8 |
| 92-93 | 987 | 1239 | 15,1 |
| 93-94 | 1031 | 1236 | 15,1 |

ჯონ სტოქტონს ჯერ კიდევ მაშინ შეეტყო პასის უბადლო ოსტატობა, როცა გონზაგას უნივერსიტეტში პირველივე სეზონისას ამ გუნდის რეკორდი მოხსნა ახალბედებისთვის. როცა ჯონმა უნივერსიტეტი დაასრულა, ცხადი იყო, გონზაგას ფორმა მისებრ ძლიერ კალათბურთელს არასდროს სცმია. მან ოთხი წლის მანძილზე დაგროვილი ათასი ქულით და 5 ათასი პასით დატოვა სასწავლებელი და დრაფტში მე-16 ნომრად „იუტა ჯაზის“ საკუთრება გახდა. ჯონი პირველსავე პროფესიულ სეზონში NBA-ის ახალბედათა ნაკრებში მოხვდა და „ჯაზის“ ახალბედათა რეკორდებიც მიითვისა პასებში (415) და ჩაჭრებში (109). ეს შედეგი დღემდე ვერავინ გააუმჯობესა. 11 სეზონის მანძილზე სტოქტონი „იუტას“ ერთგულია და ამას აკი ერთი უნიკალური მიღწევითაც ადასტურებს: რაც ამ კლუბშია, მხოლოდ 4 (!) მატჩი გამოტოვა კოჭის ტრავმის გამო.

1993-94 წლების სეზონში ჯონი NBA-ის პირველ ნაკრებში მოხვდა. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი პასი გააკეთა და სულ 9383 დაუგროვდა. ასოციაციის ისტორიაში მასზე კარგი შედეგი მხოლოდ მეჯიქ ჯონსონს და ოსკარ რობერტსონს ჰქონდათ. ცხადი იყო, სტოქტონი ახალ სეზონში ორივეს გაუსწრებდა. მაგრამ მთავარი იყო, როდის და სად მოხდებოდა ეს. 28 იანვარს „იუტამ“ „მინესოტა ტიმბერვულვზი“ დაამარცხა, ჯონმა 10 პასი გააკეთა და რობერტსონი (9887) მესამე ადგილზე ჩაანაცვლა. რჩებოდა მეჯიქის მაჩვენებელი — 9921, რომელსაც მან ასევე 11 სეზონში მიაღწია, ოღონდ ჯონზე ნაკლები მატჩი ჩაუტარებია.

და აი, ოთხშაბათს, 1 თებერვალს რეკორდი დაემხო. „ჯაზმა“ შინ, სოლტ-ლეიკსიტის „დელტა ცენტრში“ „დენვერ ნაგიტსს“ უმასპინძლა და გაანადგურა. სტოქტონმა ბოლო წუთებზე მისცა პასი გახსნილ კარლ მელოუნს და ამანაც ზუსტად სტყორცნა. ეს ამ მატჩში ჯონის მე-12 პასი იყო, რითაც იგი სათავეში მოექცა NBA-ის ყველა დროის საუკეთესო ასისტენტთა სიას.

ალბათ, სიმბოლურიც იყო, რომ სტოქტონის სარეკორდო პასის ადრესატი სწორედ კარლ მელოუნი გახლდათ. ისინი 1985 წლიდან, კარლის გუნდში მოსვლიდან, მუდამ ერთად თამაშობენ: „ჯაზშიც“, „ოლ-სტარზე“ დასავლეთის კონფერენციის ნაკრებში და ბარსელონის ოლიმპიადაზეც გვერდი-გვერდ იყვნენ. აკი 1993 წლის „ოლ-სტარის“ უძვირფასეს მოთამაშეებადაც დასახელდნენ, რაც აქამდე არ მომხდარა ამ მატჩების ისტორიაში. სტოქტონს კარლზე უკეთესი პარტნიორი ვერც წარმოუდგენია და ამბობს: „ფოსტალიონი (მელოუნის მეტსახელია — მ.რ.) ბუმბერაზი მოთამაშეა. იგი ნებისმიერ თანაგუნდელს უადვილებს თამაშს. კარლი იძულებულს ხდის მეტოქის ორ-სამ მოთამაშეს, რომ მუდმივად მას სდიონ. ჩვენ გახსნილები ვრჩებით. მაგრამ, ვერ ვხვდები, როგორ ახერხებს მელოუნი ასეთი მჭიდრო მეურვეობისას ჩემგან ბურთის მოთხოვნას და კალათში გაგზავნას“. თავად კარლ მელოუნი, ჯონის საუკეთესო მეგობარი, ქათინაურებს არ იშურებს თანაგუნდელისთვის: „ვისაც რა უნდა, ის თქვას. სტოქტონ-მელოუნის კომბინაცია ყველაზე მომაკვდინებელია ასოციაციაში. პასის მეფეს ყოველთვის ახსოვს, რომ მისი კარგი პასი ჩემს მიერ ორ ქულად გადაიქცევა. არა მხოლოდ ახსოვს, არამედ აკეთებს კიდეც ამას. ვისაც არ სჯერა, „ჯაზის“ თამაშზე შემოიაროს“.

სტოქტონს უამრავ დიდ კალათბურთელთან უთამაშია. იგი დარეტიანებულივით იყო, როცა პირველად შეხვდა ქარიმ აბდულ-ჯაბარს. აღმერთებდა ჯონსონს, ჯორდანს, ბერდს. დიდ პატივს სცემდა აიზია თომასს. მაგრამ ყველაზე დიდ მოთამაშედ რა მიიჩნევს... საკუთარ ძმას, რომლის სახელსაც კალათბურთის ვერცერთ ცნობარში ვერ შეხვდებით. ძმა ჯონზე ოთხი წლით უფროსი იყო, უბნის ყოჩიც გახლდათ და სკოლაში კალათბურთსაც თამაშობდა. პატარა სტოქტონს მისი ჯობნა სურდა და მასთან ჭიდილში არაჩვეულებრივი ბრძოლისუნარიანობა შეიძინა. ბედად, დედ-მამაც აზარტული ხალხი ჰყავდათ. ისინი მუდამ აჯიბრებდნენ ძმებს, რამაც ჯონის ფსიქოლოგიაზე მხოლოდ სასარგებლოდ იმოქმედა. სტოქტონს ორი უფროსი დაც ჰყავს. ისინი თავის დღეში არ მისულან საკალათბურთო მოედანზე, მაგრამ ჯონს მუდამ ჩასჩიჩინებდნენ: მთავარი ინტელექტია და თამაშს ყოველთვის ტვინი დაატანეო. ესეც წაადგა სტოქტონს.

სტოქტონი, დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, ამპლუის მიუხედავად ტანდაბალ მოთამაშედ ითვლება. ამაზე თითქმის ყველა წუხს... თავად ჯონის გარდა: „ბოლო წლებში NBA ძალიან გამაღლდა. მაგრამ სიმაღლე ჭკუას გადასწონის? რაც უფრო მაღალია მოთამაშე, მით უფრო მსიამოვნებს მისი გამწარება“.

სტოქტონი ჯერ არ ფიქრობს კალათბურთიდან წასვლაზე. არც იმაზე უფიქრია, რას გააკეთებს შემდეგ, რადგან თვლის, რომ იქამდე ჯერ შორია და ბევრი რამ აქვს მოსასწრები. მაგრამ ერთი იდეა აეკვიატა: დაბრუნდეს მშობლიურ სპოკანში და იქ კი სულერთია, რას გააკეთებს. სურს, რაც შეიძლება დიდხანს იყოს ოჯახთან, დედ-მამასთან, რომლებიც სპოკანში ცხოვრობენ. ამისათვის მან უკვე დაიწყო ზრუნვა: მშობლიურ ქალაქში, იმ უბანში, სადაც გაიზარდა, იყიდა სახლი. სეზონების შუა პერიოდს ცოლთან და სამ ვაჟთან ერთად იქ ატარებს: „ჩემი მშობლები შვილიშვილებს წლიდან წლამდე ვერ ხედავენ. მე კი მსურს, რომ ჩემი შვილები ჩემი მშობლების გვერდით იზრდებოდნენ. ბავშვები ბევრს კარგს შეიძენენ, ხოლო ბებია-ბაბუა ისე გაიხარებენ...“

მერაბ რატიშვილი

## «ვილაპარაკოთ შენგელიაზე»

კახა შენგელია ნამდვილად ითამაშებს მოსკოვის „დინამოში“. იგი უკვე ვარჯიშობს კლუბში და ხელმძღვანელობაც კმაყოფილია მისით. შენგელიას დებიუტი რუსეთის ჩემპიონატში ორშაბათს უნდა შემდგარიყო — „დინამო“ სამარაში იქაურ ცსკ ვვს-ს ხვდებოდა.

რამდენიმე დღის წინ მოსკოვის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ევგენი გომელსკის შენგელიას ყოფილი გუნდის „ვითას“ მთავარ მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს დაურეკა. მან დაადასტურა კახას „დინამოში“ აყვანის ამბავი და ბესიკს სთხოვა, ეს სიახლე საქართველოს კალათბურთის ფედერაციას შეატყობინეთო.

შენგელიას ჯერჯერობით ოფიციალურ დოკუმენტს არ უფორმებენ. გომელსკი ითხოვს, რომ „ვითას“ წარმომადგენელი ჩავიდეს მოსკოვში და „დინამოს“ პატრონებთან ერთად მოილაპარაკონ კონტრაქტის თაობაზე. შეხვედრა, ალბათ, დღე-დღეზე შედგება.

კახა წლეულს ვეღარ ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატში. ფიბა-სა და ჩვენი ფედერაციის დებულების მიხედვით, მას ამის უფლება არა აქვს. სამაგიეროდ, შენგელია 18 თებერვალს ჩამოვა თბილისში, რამდენიმე ვარჯიშს ჩაატარებს ეროვნულ ნაკრებში და 23 თებერვალს გუნდთან ერთად ისრაელს გაემგზავრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისელთა ძალა აღმართსა ხნავს

4 თებერვალი. ხუთი ერის პირველობის მეორე ტური

**ინგლისი 31 (13) — საფრანგეთი 10 (3)**

ინგლისი: ქეთი; თ. ანდერვუდი, ქარლინგი (კაპიტანი), გასქოთი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, ბრაქენი; ლენარდი, მური, უბოგუ; ჯონსონი, ბეიფილდი; როდბერი, ქლარქი, რიჩარდსი. — 3ლ: გასქოთი (11:3), თ. ანდერვუდი (24:10, 29:10); 2გ (13:3, 31:10) და 4ს (3:3, 6:3, 16:10, 19:10): ენდრიუ

საფრანგეთი: სადურნი (ვიარი); ბერნასალი, სელა, ლაკრუა, სანტანდრე (კაპიტანი); დეილო, აკოსებერი; ბენეზეში (სენი), გონზალესი, კალიფანო; ბრუზე, რუმა; ბენაზი, კაბანი, ბენეტონი. — ლ: ვიარი (13:8); გ (13:10) და ს (0:3): ლაკრუა

მსაჯი მაქქართნი (შოტლანდია)

**შოტლანდია 26 (9) — ირლანდია 13 (8)**

შოტლანდია — 2ლ: №14 ჯოინერი (14:13), №5 ქრონინი (24:13); 2გ (16:13, 26:13) და 4ს (3:0, 6:8, 9:8, 19:13): №15 გ. პეისთინგსი. ირლანდია — 2ლ: №13 მალინი (3:8), №11 ბელი (9:13); ს: №10 ბერქი (3:3)

წლევანდელი პირველობა წინა ორზე ბევრად უკეთესია. თუ შარშან ხუთ ტურში სულ რაღაც 20 ლელო გავიდა (მატჩში საშუალოდ 2), წელს ორი ტურის შემდეგ უკვე 14 ლელოა გატანილი (საშუალოდ 3,5). ეტყობა, ან ჩრდილოეთ ნახევარსფეროშიც აუღეს ალღო 1992 წლის შემოდგომაზე შემოღებულ ახალ წესებს, ანაც ამ წესების ბოლოშემოდგომისეულმა ნაწილობრივმა შეცვლამ ძალთა თანაფარდობა ისევ მოიერიშის სასარგებლოდ შეცვალა.

ამ მხრივ საგულისხმოა ინგლისის მაგალითი: წინა ორი პირველობის რვა თამაშში მან ოდენ 6 ლელო გაიტანა, წელს კი იმავე შედეგის მიღწევას ორად-ორი მატჩი ამყოფინა. თუმცაკი, ინგლისელთა გარდასახვაში წესების შეცვლაზე მეტად წვლილი ახალ მწვრთნელ ჯექ რაუელს მიუძღვის, რომელმაც, უდიდესი სპეციალისტი რომაა, პროვინციულ კლუბ „ბასში" მუშაობით დაამტკიცა — ბოლო ათწლეულია ამ გუნდს ქვეყნის მასშტაბით ბადალი არა ჰყავს და ეშხიანი ბურთაობითაც გამოირჩევა.

ამ ტურში პირველობის უმთავრესი თამაში: ინგლისი — საფრანგეთი გაიმართა. მისი გამარჯვებული ალბათ ჩემპიონიც გახდება. გარდა ამისა, ალბათ მხოლოდ იგი თუ შეეცილება მაის-ივნისში მსოფლიო პირველობას სამხრეთნახევარსფეროელ ბუმბერაზებს: ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიას.

თვიქნემის შერკინებისთვის ინგლისმა ბოლო თვეების უცვლელი თხუთმეტეული გამოიყვანა. ზაფხულში — ახალი ზელანდიის, ამ პირველობის პირველ მატჩში კი — უელსის მძლეველი გუნდიდან ფრანგებმა ორი კაცი მოისაკლისეს: მულატი გარემარბი ნტამაკი დაშავებულიყო, მეორეხაზელი ოლივიე მერლი კი მწვრთნელ პიერ ბერბიზიეს გუნდიდან დაეთხოვა.

საქმე ისაა, პარიზში უელსთან თამაში ახალი დაწყებული რომ იყო, მერლმა უმიზეზოდ ურტყა სტუმართა ბურჯ რიკი ევანსს, რომელიც მოულოდნელობისგან წაბარბაცდა, დაეცა და კოჭი მოიტეხა. მერლს ოინი შერჩა, მაგრამ თამაშის შემდეგ უელსელებმა მისი დასჯა ითხოვეს. საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ საჩივარი უარყო, მაგრამ მწვრთნელმა თავი გამოიდო, ამგვარი საქციელი რომ ვაპატიო, ვინიცობაა აწყობილ გუნდში სხვამაც თავი აიშვასო. ისე კი, ბერბიზიე მეოთხე სეზონია, რაც ზეობს, და ნაკრებში წესრიგი ავად თუ კარგად დაუმყარებია: მისი უფროსობით „მამლები" ნაკლებს ჩხუბობენ და მეტად იმარჯვებენ.

თამაშის წინ გუნდებმა ერთმანეთს მაგრად შეუტიეს. ფრანგებმა განაცხადეს, ინგლისი მეტად ძალისმიერად თამაშობსო. ვალში არ დარჩენილა მედიის ვარსკვლავი, მასპინძლების კვაჭი ბრაიან მური, რომელმაც მოსწრებულად შენიშნა, გინდა საფრანგეთთან გითამაშია და გინდ ერთბაშად 15 ერიკ კანტონასთანო.

მატჩი მზიან დარში გაიმართა. ინგლისის შერკინება მთელ თამაშში მძლავრობდა. მედია აღნიშნავდა, გამარჯვებული ბოლო 20 წუთში გამოვლინდებაო.

მე-12 წუთზე ენდრიუს საჯარიმო გაუცუდდა, მე-20 წუთზე კი ფრანგებმა პირველად გადაალწიეს მასპინძელთა ნახევარზე და ლაკრუამაც 39 მეტრიდან საჯარიმო გაიტანა. სამართალმა პური მალევე ჭამა: თამაშის განახლება ერთი იყო და ენდრიუმ კარის წინიდან ანგარიში გაათანაბრა.

მერე გაჩაღდა კარგი ბურთაობა. 27-ე წუთზე ინგლისს ორი კაცით მეტი აღმოაჩნდა ფრთაზე, მაგრამ თ. ანდერვუდი შეცდა. ფრანგებმა თამაშგარეს წესი მაინც დაარღვიეს და ინგლისი წინ გაიჭრა 6:3.

შესვენებამდე ისევ ბრიტანელებმა იძალეს. 30-ე წუთზე ინგლისმა ზედიზედ ოთხი მოლი მოიგო ზედ ფრანგების ლელოსთან და ვინ იცის, კიდევ რამდენს მოიგებდა, შუამარბ გასქოთს რომ არ ემარჯვნა, მეტოქეები ეშხიანად არ მოეტყუებინა და ლელო კარსუკან არ გაეტანა. მერე ენდრიუს მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ფრანგები გონს მოეგნენ და დერეფნის მოგებაც კი დაიწყეს; ლელოც ამ დროს გაიტანეს: ბერნასალმა ბურთი თავისი 22-დან წამოიღო, ფეხი დაჰკრა, ქეთის მიერ ხელწაკრული ბურთი აიღო; მერე კაბანმა იაქტიურა და ბურთი ვიარს გადაუგდო, ამან კი ლელო გაიტანა. მასპინძლებმა ხიფათი იყნოსეს და ისევ შერკინება აათამაშეს, რასაც ენდრიუს ორი გოლი მოჰყვა. თამაშის ბოლო ათწუთეულის წინ ინგლისი 9 ქულით იყო წინ და კიდევ უტევდა. 74-ე წუთზე ენდრიუს აბრაგანის შემდეგ ბერნასალი შებოჭა რ. ანდერვუდმა, მის ძმა თონის კი ენდრიუმ ბურთი ლელოსკენ გაუგორა; უმცროსმა ძმამ აჯობა სანტანდრეს და ბურთს ზედ უქმი ბურთის ხაზთან მიუსწრო. ანგარიში 24:10 გახდა, თვიქნემის ტაბლოზე კი კარგა ხანს 22:10 ეწერა. თამაშის ბოლოს რიჩარდსსა და როდბერს მოკლე ფრთაზე წამოეშველა მცველი ქეთი და თ. ანდერვუდს კარიერის მერვე ლელო გაატანინა. ინგლისმაც 1989 წლიდან მოყოლებული ზედიზედ მერვედ მოუგო საფრანგეთს.



წარმოშობით მალაელები, მაგრამ ინგლისის გარემარბები: თონი და რორი ანდერვუდები. პირველს 8 ლელო აქვს გატანილი, მეორეს კი — ერთბაშად 40

მარიფილდში ორი მაჩანჩალას მატჩი მასპინძლებმა მოიგეს. ირლანდიელთაგან გამოირჩეოდნენ ვეტერანი 9 ნომერი მაიქლ ბრედლი და გარემარბი ბელი, რომელთაც ინგლისთან წაგებულ მატჩში არ უთამაშიათ. თავიდან სტუმრები უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ შოტლანდიელები თანდათან გაიმართნენ წელში, მათმა კაპიტანმა და დამრტყმელმა გევინ ჰეისთინგსმა კი 6 გოლით მონაგარი 500 ქულას გადააცილა. ამავე თამაშში მან 53-ე კეპი მიითვალა, რაც ეროვნული რეკორდი ყოფილა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 51:18 | 6-2 | 4 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 26:13 | 2-2 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 31:40 | 3-3 | 2 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 9:21 | 0-2 | 0 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 21:46 | 3-5 | 0 |

III ტური. 18 თებერვალს: უელსი — ინგლისი; საფრანგეთი — შოტლანდია

ზაზა ფხაკაძე

ლიგის რაგბში მოულოდნელად დასრულდა უელსი — ინგლისის ტესტი. 1 თებერვალს კარდიფში მასპინძლებმა 18:16 მოიგეს. არადა, უელსში ლიგის კლუბი საერთოდ არა ჰყავთ, რის გამოც ნაკრებს ინგლისში მოთამაშე უელსელი მორაგბეყოფილებისგან ადგენენ; ამათი სიმცირის გამო 1980-იან წლებში ნაკრები საერთოდ ვერ გამოყავდათ, ახლა კი ლიგის მსოფლიო თასისთვის მეოთხე ნომრად არიან განთესილი.



# ვის კუჭი აემალა, ვის — კოჭი ელრძო

## დევისის თასის მსოფლიო ჯგუფი

DAVIS CUP by NEC

პირველი წრე. მერვედფინალი. 3-5 თებერვალი

### დანია 2-3 შვედეთი

კოპენჰაგენში თასის ამჟამინდელმა მფლობელმა შვედებმა კვლავ შეუძლებელი შეძლეს — მესამედ მოიგეს მატჩი, რომელსაც ერთი პირობა 0-2 აგებდნენ. არადა, დევისის თასის ისტორიაში ამგვარი რამ სულ ოთხჯერ მომხდარა.

პარასკევს შვედების ლიდერმა სტეფან ედბერგმა პირველი ხელი 6:1 კი მოუგო დანიელ ფრედერიკ ფეტელაინს, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ასეულს მიღმაა, მაგრამ მერე ზედიზედ წააგო. შვედთა მეორე ნომერ მაგნუს ლარსონს კუჭი აემალა და წყვილთა თამაშის სპეციალისტმა იონას ბიორკმანმა შეცვალა. შემცვლელმა 1-3 წააგო კენეტ კარლსონთან.

მერე შვედებმა სამივე თამაში მოიგეს. შაბათს აპელმა და ბიორკმანმა 3-1 მოუგეს კარლსონსა და კრისტიანსონს, კვირას ჯერ ედბერგმა კარლსონის ოთხ ხელში ძლევით ანგარიში გაათანაბრა, ბოლოს კი ბიორკმანმა ხუთ ხელში დაამარცხა ფეტელაინი.

### ავსტრია 3-1 ესპანეთი

ვენაში პირველივე თამაში სამ ხელში დასრულდა. სერხი ბრუგერამ დაამარცხა ჟილბერ შავლე, მაგრამ მასპინძელთა ლიდერმა თომას მუსტერმა კარლოს კოსტა დაჯაბნა. შაბათს მუსტერმა და ალექს ანტონიჩმა 6:2, 3:6, 6:3, 6:3 დაამარცხეს ბრუგერა და ემილიო სანჩესი, კვირას კი მუსტერმა პირველსავე თამაშში ბრუგერა სძლია.

### აშშ 3-1 საფრანგეთი

მასპინძელთა გუნდში სათამაშოდ ვერ მოიცალეს სამპრასმა და აგასიმ. გუნდის ლიდერობა დაეკისრა კურიეს, ვისაც დევისის თასზე გუნდთან ერთად თურმე არასოდეს წაუგია.

მატჩი ფლორიდის ქალაქ სენტ-პიტერსბურგში, დარბაზში, ნელ ხალიჩაზე გაიმართა და მაყურებელიც ცოტა დაესწრო. ერთეულთა პირველი ორი თამაში სამსაათნახევარში ჩამთავრდა. ჯერ ტოდ მარტინმა 5:7, 2:6, 4:6 წააგო სედრიკ პიოლინთან, მერე კი შინ მოასპარეზე კურიემ გი ფორჟეს 41 შეცდომა დააშვებინა და 6:1, 6:2, 6:2 მოუგო. წყვილთა თამაში ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ჩემპიონების — იარიდ პამერისა და რიჩი რენებურგის გამარჯვებით დასრულდა, კვირას კი მარტინმა პირველივე „შექცეული სინგლი" მოუგო ფორჟეს.

### იტალია 3-1 ჩეხეთი

წინა უქმეებზე ფეხბურთის გულშემატკივრის მოკვლის გამო იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ზნეობრივი მოსაზრებებით ყველა საშინაო ღონისძიება გადადო, მაგრამ დევისის თასს ვერ შეჰბედა. მატჩი ნეაპოლში გაიმართა. პარასკევს ჯერ ანდრეა გაუდენციმ 1-3 წააგო დანიელ ვაჩეკთან, მაგრამ რენცო ფურლანმა ასეთივე ანგარიშით სლავა დოჟედილი დაამარცხა. წყვილთა თამაშში იტალიელებმა პესკოსოლიდომ და ბრანდიმ ოთხ ხელში სძლიეს კირილ სუკ — მარტინ დამის დუეტი. მესამე დღეს, კვირას კი ყველაფერი პირველივე თამაშში გადაწყდა, რომელშიც გაუდენციმ დოჟედილი დაამარცხა.

### შვეიცარია 1-3 პოლანდია

ჟენევაში მასპინძელთა ოლიმპიურ ჩემპიონ მარკ როსეს კოჭი ელრძო და დანებდა იაკო ელტინგს, მაგრამ იაკობ პლასეკმა რიჩარდ კრაიჩეკის ძლევით ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი გამოდგა წყვილთა თამაში: ელტინგმა და პაულ ჰაარჰუსმა პლასეკსა და მანტერს მოუგეს. კვირას კრაიჩეკმა სტუმრებს ვადამდე გაამარჯვებინა.

### გერმანია 3-0 ხორვატია

კარლსრუეში სტუმრებს მხოლოდ გორან ივანიშევიჩის იმედი შეიძლება ჰქონოდათ, ვინაიდან სხვა ხორვატები მასთან მოსატანიც არ არიან. ორი დღის შემდეგ ყველაფერი გაირკვა: ერთმანეთთან და ფედერაციასთან შერიგებულმა ბეკერმა და შტიხმა ჯერ სათითაოდ მოუგეს ივანიშევიჩსა და საშა ჰირშონს, მერე კი — წყვილშიც 6:4, 7:6, 7:5.

### ბელგია 0-3 რუსეთი

ანტვერპენშიც რუსებმა ორ დღეში მოითავეს საქმე. ანდრეი ჩესნოკოვმა ორ ხელში დაამარცხა ფილიპ დევულფი. მოიგო ევგენი კაფელნიკოვმაც გოორენსთან. შაბათს შეჯიბრება დასრულდა: კაფელნიკოვმა და ოლხოვსკიმ ლიბორ პიმეკსა და დევულფს 2:6, 7:5, 7:5, 6:3 აჯობეს.

### სამხ. აფრიკა 1-2 ავსტრალია

პირველად 1978 წლის შემდეგ რასიზმის ყოფილი ციტადელი მასპინძლობდა დევისის თასის მატჩს. თამაში დურბანში, „ვესტბრიჯ პარკის" კორტებზე დაენიშნათ, მაგრამ პარასკევს დილით კვლავ გაწვიმდა, წყალმა მოედნების უნივერსალური საფარის ზედა შრეში გაჟონა და კორტები საჩოგბურთოდ გამოუსადეგარი გახადა. მოსათელად გამოსული მონაწილენი უქმად დარჩნენ. მატჩი იშლებოდა, ვინაიდან სტუმართა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა იუარა სხვაგვარსაფარიან მოედანზე თამაში. მასპინძლებს წაგების მისჯა ემუქრებოდათ, რის გამოც სასამართლოში აპირებდნენ ჩივილს, აქაოდა საფარის დამგებმა ფირმამ გვიღალატაო. შაბათს მაინც მოხერხდა მატჩის დაწყება. ჯერ იყო და ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა 6:3, 6:4, 3:6, 6:4 მოუგო მარკუს ონდრუშკას, მაგრამ ვეინ ფერეირამ მარკ ვუდფორდის 7:6, 7:5, 6:3 ძლევით ანგარიში გაათანაბრა. ვუდფორდმა ამ დღეს შეცვალა რიჩარდ ფრომბერგი, რომელსაც ვირუსული ინფექცია შეეყარა. კვირას წყვილთა თამაში სტუმრებმა მოიგეს და დაწინაურდნენ.

ამავე უქმეებზე აზია-ზღვისრეთის პირველ ჯგუფში ინდოეთმა კალკუტაში 3-0 მოუგო ჰონკონგს, კორეამ 3-0 — ინდონეზიას, ახალმა ზელანდიამ კი — ტაივანს, ასევე 3-0.

წინა კვირაში ქალთა წყნარი ოკეანის ღია პირველობა გაიმართა. მეოთხედფინალში გავარდნენ პირველ და მეორე ნომრად განთესილები — ფრანგი მარი პირსი და ესპანელი კონჩიტა მარტინესი. ორივემ სამ ხელში წააგო: ფრანგმა ბულგარელ მაგდალენა მალეევასთან (7), ესპანელმა — იაპონელ კიმიკო დატესთან (5). ნახევარფინალში დატემ ხორვატი ივა მაიოლი დაამარცხა 6:1, 6:4, ამერიკელმა ლინდსი დავენპორტმა (3) კი — მალეევა 6:3, 6:2. ფინალი მოიგო მასპინძელმა 6:1, 6:2.

ვალერი ჯიქია

## უყვარდა ლხინი...



2 თებერვალს, მელბურნში 85 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ინგლისელი ჩოგბურთელი ფრედ პერი.

დაიბადა მუშის ოჯახში. 1929 წელს პინგ-პონგში გახდა მსოფლიო ჩემპიონი.მერე დიდ ჩოგბურთს მიჰყო ხელი სერიოზულად და 1934-36 წლებში ზედიზედ სამ უიმბლდონში გაიმარჯვა და დიდი სლემის ტურნირებში კიდევ ხუთჯერ გახდა ჩემპიონი. 1933-36 წლებში დიდ ბრიტანეთს დევისის თასზე მოაგებინა.

პერი 27 წლისა გაპროფესიონალდა, რის გამოც ინგლისელებმა მოიკვეთეს: იმ დროს ჩოგბურთი სამოყვარულო იყო. პერისაც რაღა დარჩენოდა და საჩვენებელ მატჩებში მონაწილეობდა: ჰოლივუდში ეთამაშებოდა ჩარლი ჩაპლინს.

მერე და მერე პერიმ კომენტატორობას მოჰკიდა ხელი. ბი-ბი-სის მივლინებით მთელი მსოფლიო მოუვლია. არ აცდენდა არათუ დიდ, არამედ უმნიშვნელო შეჯიბრებებსაც. უყვარდა ლხინი და საჩოგბურთო წვეულებები. ამ 12 წლის წინ გულის შეტევის გამო ერთი რომ გაუცდა, საავადმყოფოდან უმისოდ შეკრებილებს მიმართვა გაუგზავნა. წელს ავსტრალიის პირველობასაც დაესწრო და არანტა სანჩეს-ვიკარიოც გააკრიტიკა, მაგრამ შეჯიბრის დამთავრებიდან ოთხი დღის თავზე მიიცვალა.

ინგლისური ჩოგბურთის წინაშე დამსახურებისათვის პერის უიმბლდონში სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს (იხ. ფოტო).

# ასეთია ძაღლური ცხოვრება



ალიასკის უდიდეს დიდ ქალაქ ანკორიჯში, თებერვალს, როცა ზამთარი სრული ძალით მეფობს და მტრისას, ისეთი ყინვაა, ყოველწლიურად იმართება გრანდიოზული ფესტივალი, რომელიც კარგა ხანს გრძელდება და დიდძალ ხალხსაც იზიდავს ამერიკის სხვადასხვა შტატიდან, კანადიდან და ოკეანის გაღმიდანაც კი. აქ შეხვდებით ესკიმოს და ინდიელ მოცეკვავეებს, ეწყობა ძვირფასი ბეწვეულის აუქციონი, ასახელებენ „მის ალიასკას", იმართება პოკერისტთა პაექრობები, მაგრამ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მარხილებში შებმული ძაღლებით შეჯიბრება. ამგვარი რბოლები ტარდება როგორც სპრინტერულ, ისე სტაიერულ და მარათონულ დისტანციებზე. ეს უკანასკნელნი რამდენიმე დღე გრძელდება. შეჯიბრების ტრასა გადის გაუკვალავ თოვლიან ველებზე, გაყინულ მდინარეებზე, ტბებზე, ტყეში. ირგვლივ მხოლოდ „თეთრი მდუმარებაა". „ჩრდილოეთის ოდისეა" დაახლოებით ნახევარ თვეს გრძელდება. რაკილა ჯეკ ლონდონის მოთხრობები ვახსენეთ, ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ეს მწერალი სხვა ნაწარმოებებშიც შესანიშნავად აღწერს მარხილებში შებმული ძაღლებით რბოლას. გულშემატკივრები ახლაც ძველებურად ნიძლავდებიან, ვისი ძაღლები გაიმარჯვებენ, ახლაც ძველებურად გაიგებთ „მაშ", „მაშ"! (წინ, წინ). ისმის ჰაერში შოლტების შხუილი; რეპორტიორებიც კლავენდებურად კისრისტეხით გარბიან თავიანთ რედაქციებში ცხელ-ცხელი ამბების გადასაცემად... ერთი სიტყვით, ჯეკ ლონდონის პერსონაჟები, მისი მოთხრობების გმირთა პროტოტიპები დღესაც ცხოვრობენ, ებრძვიან ყინვას, ქარბუქს, შიმშილს და... ნამზომს.





მარხილებში შებმული ძაღლებით რბოლების ისტორია დაკავშირებულია ლეგენდარული სკოტი ალენის სახელთან.

ერთხელ, უკაცრიელ ადგილზე ძაღლებთან ერთად მყოფ სკოტს თურმე ქარბუქი დაატყდა თავს. იქვე მიტოვებული ქოხი ეგულებოდა და მოძებნა კიდეც, მაგრამ შიგ დახვდა მხართეძოზე წამოწოლილი ვიღაც ყმაწვილი კაცი, რომელიც ჩიბუხს აბოლებდა. ერთხანს მდუმარედ იყვნენ. მერე დამხვდურმა სკოტს კითხვები დააყარა. ბოლოს, როცა ახალგაზრდა მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე, აღტაცებულმა წამოიძახა: „თქვენ ძველი გიცნობთ, ძაღლებით რბოლის მეფე ხართ, თქვენ სკოტი ალენი ხართ, მე მინდა თქვენზე დავწერო.

– თქვენ მწერალი ხართ?

– ჯერ არა, მაგრამ მალე გავხდები, თქვენ კი ჩემი გმირი იქნებით.

– თქვენი სახელი?

– ჯეკ ლონდონი".

სხვათა [illegible], სკოტი ძაღლებით რბოლის მეფის ნამდვილი სახელი არ არის. იგი შოტლანდიელი [illegible] და ალექსანდრ ალენი ერქვა, მაგრამ როცა ამერიკაში დასახლდა, სკოტი ანუ შოტლანდიელი უწოდეს.

ახლა კი იმაზე, თუ როგორ დაიწყო ძაღლებით დიდი რბოლების ისტორია. ეს იდეა კამათში დაიბადა. მოპაექრენი ვერა და ვერ მორიგდნენ, ვისი ძაღლი სჯობდა. სკოტი ამგვარ კამათს ყოველდღიურად ისმენდა და გადაწყვიტა, მარხილებში შებმული ძაღლების რბოლა მოეწყო. ამაზე ყველა დაითანხმა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა ახლა იმან გამოიწვია, როგორ დისტანციაზე სჯობდა რბოლის გამართვა. სკოტის აზრით, დისტანცია მარათონული უნდა ყოფილიყო, აქ ხომ თვალნათლივ გამოჩნდებოდა ძაღლების შესაძლებლობანი. ამ აზრმა გაიმარჯვა. გადაწყდა, რბოლა ჩატარებულიყო მარშრუტით: ნომი–კანდლი–ნომი, სულ 650 კმ. ოღონდაც, დებულების თანახმად, ფინიშთან ყველა ძაღლი (მკვდარი თუ ცოცხალი) უნდა მისულიყო.

ასე დაიწყო დიდი რბოლები. ეს 1908 წელს მოხდა.

ამგვარ მარათონულ რბოლებში სკოტ ალენი რვაჯერ მონაწილეობდა და სამჯერ გაიმარჯვა. ამდენჯერვე მეორე იყო, ორჯერ კი მესამე.

თანამედროვე რბოლების ტრასა გაცილებით რთული და გრძელია. მისი მარშრუტი ანკორიჯიდან ნომამდე 1569 კილომეტრია. ამ ტრასაზე 1973 წლიდან ყოველ ზამთარს იმართება საერთაშორისო შეჯიბრება, რომლებიც აიდიატაროდის რბოლის სახელითაა ცნობილი. გამარჯვებული პრიზის სახით სოლიდურ თანხას– 50 ათას დოლარს იღებს.

მეცხრამეტე შეჯიბრებაში 75 მონაწილესთან ერთად გამოდიოდა თანამედროვე რბოლების ფუძემდებელი, 75 წლის ჯო რედინგტონი, რომელსაც არცერთი რბოლა არ გამოუტოვებია.

მონაწილენი, როგორც წესი, მარხილებში ლაიკებს აბამენ, მაგრამ იმ წელს ვინმე სიუტერმა ყველა გააოცა იმით, რომ საასპარეზოდ ათ ლაიკასთან ერთად ამდენივე ფრანგული პუდელიც გამოიყვანა. სიუტერმა მარტო პუდელებით როდი გააკვირვა ხალხი – იგი სტარტზე კინოგმირ ბეთმენის კოსტიუმით გამოცხადდა.

საგულისხმოა, რომ 1974 წელს ჩემპიონი გახდა ქალი – როკსი ბრუკსი. როგორც ამტკიცებენ, ამ გამარჯვებით მან ისეთი პოპულარობა მოიპოვა, ცნობილი კინოვარსკვლავებიც კი დაჩრდილა. ბრუკსმა ანკორიჯიდან ნომამდე გადარბენას 18 დღე-ღამეზე ცოტა მეტი დრო მოანდომა. ერთი წლის მერე რეკორდსმენი გახდა რიკ სვენსონი. მან დისტანცია 14 დღე-ღამეში, 18 საათსა და 25 წამში დაფარა.

ასეთ უსაშველოდ გრძელ დისტანციაზე დახარჯული დროის წამების სიზუსტით გამოთვლა ღიმილის მომგვრელია, მაგრამ რეკორდების აღნუსხვისთვის იგი აუცილებელია. ეს დადასტურდა 1977 წელს, როცა რიჩარდ მეკის მარხილი მეტოქისაზე... 2 წამით ადრე მიიჭრა ფინიშთან.

1982 წელს კიდევ ერთხელ გაუმჯობესდა რეკორდი. შეჯიბრებაში ამერიკისა და კანადის 53 წარმომადგენელი გამოდიოდა. გაიმარჯვა 31 წლის ამერიკელმა რიკ სვენსონმა. მან თითქმის 2 დღით გააუმჯობესა ძველი მიღწევა. სვენსონის შედეგია 12 დღე, 8 საათი, 45 წუთი და 2 წამი.

ზემოთ რბოლებში გამარჯვებული ქალი ვახსენეთ, ვაჟებთან ერთად სუსტთა სქესის წარმომადგენლებიც ხშირად მონაწილეობენ პაექრობაში.

1985 წელს სტარტზე 60 „ეკიპაჟი", მათ შორის ოთხი ქალი გამოვიდა.

მათ საშინელ ქარბუქში, თოვაში და 45-გრადუსიან ყინვაში მოუხდათ რბოლა. ქალთა შორის პირველობას უწინასწარმეტყველებდნენ სიუზან ბაჩლერს, რომელმაც 1984 წელს ბევრ მამაკაცს აჯობა და მეორე ადგილი დაიკავა. 1985 წლის რბოლაში სიუზანი გადაეყარა გაშმაგებულ ცხენირემს, რომელმაც ორი ძაღლი მოუკლა და კიდევ რამდენიმეს ლამის წელი მოსწყვიტა. ბაჩლერი, ცხადია, შეჯიბრებას გამოეთიშა, საბოლოოდ კი მაინც ქალმა, 28 წლის ლიბი რიდლსმა გაიმარჯვა. იგი დიდხანს მიჰყვებოდა მამაკაცებს და მაშინ, როცა უკან დარჩა ანკორიჯი, ალიასკის ქედი, უნალაკლიტი და შაკტოლიკტში ერთ-ერთ საკონტროლო პუნქტს მიაღწია, გადაწყვიტა „ვაბანკზე" წასულიყო. 28-დან ამ ერთ-ერთ საკონტროლო პუნქტში, ნაცვლად იმისა რომ სხვებივით გამძვინვარებული ქარბუქის დაცხრომისთვის მოეცადა და ძაღლებთან ერთად თავადაც ბინდბუნდში დაესვენა, გადაწყვიტა ნორტონის ყურეში, გაყინული ზღვის უბეზე გაეყვანა თავისი მარხილი და გაიყვანა კიდეც. ეს ვერცერთმა მამაკაცმა ვერ გაბედა. ამით რიდლსმა რამდენიმე საათი მოიგო, რამაც საბოლოო გამარჯვებაც მოუტანა. ამ გამარჯვებამ ლიბი რიდლს არგუნა 50 ათასი დოლარი და, როგორც ამბობენ, ალიასკის სახალხო ეპოსშიც დაიმკვიდრა ადგილი.

პირველი ქალი, ვინც სახელი გაითქვა ძაღლებშებმული მარხილებით გადარბენაში, გახლდათ ამერიკელი მაიჰოფი, რომელმაც 1916 წელს გაიმარჯვა.

მაიჰოფის, ბრუკსის, რიდლსისა და მათი დარი ქალების წყალობით უკანასკნელ წლებში საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოეთ ამერიკის ჩემპიონატებსაც, რომელნიც ყოველწლიურად მარტის შუა რიცხვებში იმართება ალიასკის სიდიდით მეორე ქალაქ ფერბანკსში. ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ქალები მონაწილეობენ. მაგრამ ქალებს ეტყობა, სულაც არ სურთ, რომ მამაკაცებს ჩამორჩნენ და ისინი მათთან პაექრობისას მეტი აზარტით იბრძვიან. ამის ნათელი მაგალითია მაიჰოფის, ბრუკსისა და რიდლსის გამარჯვებები. ამის დასტურია სულ ახლახანს გამართული შეჯიბრებებიც, რომელიც მინესოტის შტატში მოეწყო. ეს ტრადიციული გადარბენა, რომელიც **Bear Grease Sled Dog Marathon**-ის სახელითაა ცნობილი, 800-კილომეტრიან დისტანციაზე ჩატარდა. წლეულს ყველას აჯობა ქალმა ჯეიმი ნელსონმა. მეორე ადგილიც ქალმა, კეტი იაკობსონმა დაიკავა, ნირწამხდარ მამაკაცთა ღირსება საბოლოო შებღალვისაგან ჯონ შანდელმეიერმა იხსნა თავისი მესამე ადგილით. გამარჯვებულმა 50 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდიდან 10 ათასი მიიღო.

სხვათა შორის, ჯეიმი ნელსონი ამ მარათონის ყველაზე ცნობილი და პოპულარული მონაწილეა. იგი იყო პირველი ქალი, ვინც ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. ეს მოხდა 1988 წელს. მომდევნო და 1993-94 წლებში კი მეორე ადგილები დაიკავა. ყოველივე ამის შედეგად ნელსონი ამ მარათონის ისტორიაში დაკავებული ადგილების მიხედვით რეკორდსმენიც გახდა.

მარხილებში შებმული ძაღლებით ასპარეზობა სპორტის არცერთ სახეობას არ ჩამოუვარდება მიმზიდველობით, დინამიზმით, დრამატიზმით... ამგვარი შეჯიბრება ადამიანისგან მოითხოვს დიდ ფიზიკურ გამძლეობას, სულიერ სიმტკიცეს. ნურავინ იფიქრებს, თითქოს სპორტსმენი მარხილებზე მხართეძოზე იყოს წამოწოლილი და დროდადრო მხოლოდ მათრახს აწკლაშუნებდეს... იგი ძაღლებთან ერთად კვალავს თოვლს, აღმართში ექაჩება მარხილს, დაღმართში კი უკან ეწევა და დამუხრუჭებას ცდილობს, რათა მშვიდობიანად დაეშვას. შებინდებისას ახალი საზრუნავი უჩნდება: ძაღლების დაპურება, ჭრილობების მოშუშება, მგელ-ნადირისგან თავდაცვა... მოკლედ, მარხილში შებმული ძაღლებით რბოლა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და მომქანცველი სახეობაა. შორს რომ არ წავიდეთ, ბოლო მაგალითი გავიხსენოთ. მინესოტაში გამართული მარათონის მონაწილე სპორტსმენებსაც და ძაღლებსაც ჩინებული ამინდი დაუდგათ. ბევრი მათგანი ალბათ იხსენებდა შარშანდელ ჭახჭახა ყინვასა და საშინელ ქარს, მთელი მარათონის ტრასაზე ძვალსა და რბილში რომ ატანდა, წლეულს კი, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების მონაწილეებს იდეალური ამინდი დაუდგათ, მარათონი თვით ჩემპიონის „ეკიპაჟისთვისაც" ვერ დასრულდა უმსხვერპლოდ. ჯეიმი ნელსონმა სტარტი თორმეტი ძაღლით აიღო, ფინიშის ხაზი კი მხოლოდ ათმა გადაკვეთა, და ეს მაშინ, როცა მემარხილეები ძაღლებს დიდი გამოცდის წინ დიდი ხნით ადრე აკაჟებენ. ისინი მათთვის კვების მკაცრ რეჟიმსა და მენიუს ადგენენ, საწვრთნელი გადარბენების მანძილს უფრო ზრდიან და დღეში 100 კილომეტრამდე დაარბენინებენ.

და მაინც, ბევრი ოთხფეხა მრბოლი, როგორც ვნახეთ, უმძიმეს მარათონს ვერ უძლებს.

ავთანდილ გურასაშვილი



## აქეთური, იქითური

სან-დიეგოს აკვატორიუმში მიმდინარე აფროსანთა „ამერიკის თასის" შესარჩევმა სტადიამ უკვე ერთი კაპიტანი შეიწირა. იგი აღმოჩნდა ავსტრალიური „სიდნეი-95"-ის სკიპერი ქრის დიქსონი, რომელიც უკმაყოფილო მეპატრონეებმა დაითხოვა. ამისი ხელმძღვანელობით იახტას ექვსი რბოლიდან ორად-ორი მოუგია. ამ კვირას ვი მონაწილეებს „კუპიდონში" შეემთხვათ. სტარტი ახალი მიცემული იყო, რომ იახტსმენებმა ნისლში უზარმაზარი ხომალდი დალანდეს. ცხადია, იგი რეგატის წევრი ვერ იქნებოდა. თურმე ნუ იტყვით, აშშ-ის სანაპირო დაცვას გამოპარვია ბირთვული ავიამზიდი „აბრაამ ლინკოლნი", რომლის წყალწყვაც 94 ათასი ტონა ყოფილა, სიგრძე კი – თითქმის 400 მეტრი. განგაში გამოცხადებულა ავიამზიდზეც, რომლის რადარსაც უამრავი მცირ-მცირე პოტენციური თავდამსხმელი აღუნუსხავს. ვიდიარება რომ გაირკვა, ყველა შეჯიბრება შეწყდა, ერთის გამოკლებით, რომელშიც ახალზელანდიელებმა წუთითა და 16 წამით აჯობეს ფრანგებს.

*

ამერიკული ბურთაობის სუპერბოულის კვირის თავზე გაიმართა ე.წ. პრობოული, რომელიც კალათბურთელთა „ოლ-სტარზის" ანალოგიურია. იგი მოულოდნელად დასრულდა: უფრო სუსტად შერაცხულმა ამერიკულმა გაერთიანებამ 41:13 მოუგო ეროვნულს. გამარჯვებულთა მარბიელმა მარშალ ფოლკმა მატჩის განმავლობაში ბურთი 180 იარდით წასწია წინ, რითაც თურმე გააუმჯობესა ცოლისა და ამისი საყვარლის მოკვლისათვის სამართალში მიცემული ო-ჯეი სიმფსონის 1973 წლისეული მიღწევა.

*

დელიში დაიწყო ინდირა განდის სახელობის თასის გათამაშება ბალახის ჰოკეიში, რაც თავისთავად დიდი მიღწევაა, რაკილა უწინ ეს შეჯიბრება უამრავჯერ გადადებულა პოლიტიკური კატაკლიზმების გამო. წელს ინდოეთში შვიდი სტუმარი ჰყავთ: ავსტრალია, ინგლისი, სამხრეთი აფრიკა, კორეა, პოლონეთი, მალაიზია და ყაზახეთი. ამათ პირველ ტურში ინგლისს 1:0 მოუგეს. ტურნირის გამორჩეული მოთამაშეებისათვის ჯილდოდ ტელევიზორები და ავტოებია დაწესებული.

*

ამერიკაში კეთილი პირი გამოუჩნდა კეტბურთელთა გაფიცვის შეწყვეტას. ჯერ იყო და მავანმა დემოკრატმა სენატორმა კონგრესში წარადგინა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც გაფიცვა უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან მოთამაშეთა და მეპატრონეთა გარდა მთელი ამერიკელი ერის ინტერესები იბღალებოდა. 3 თებერვალს კი მთლად დაუჯერებელი რამ მოხდა: მეპატრონეებმა გააუქმეს ე.წ. ჯამაგირის ჭერი, რისმა შემოღების პროექტმაცა და მერე კი შემოღებამ გამოიწვია გაფიცვა.

*

შაბათს ისტორიული, პირველი გამარჯვება იზეიმა ზიმბაბვურმა კრიკეტმა. ამ ქვეყანას ტესტის მოთამაშის სტატუსი 1992 წელს მიენიჭა, მაგრამ აქამდე ვერავისთან გაემარჯვნა. ახლა კი ზიმბაბველებმა ჰარარეს სპორტულ კლუბში ვადამდე, ერთი დღით ადრე შესვლითა და 64 გარბენით დაანგრიეს მსოფლიო ჩემპიონი პაკისტანი, რომელიც ზიმბაბვეში სამხრეთი აფრიკიდან ხელმოცარული ჩასულა. მასპინძლებმა ათამაშეს პირველი ზანგი – ჰენრი ოლონგა, რომელიც კენიაში გაზრდილი ზამბიელი ყოფილა. ოლონგამ ამ თამაშის დროს დიდი მკრეხელობა ჩაიდინა: ბურთი მოწოდების ნაცვლად ტყორცნა მეტოქის ბჭისაკენ, რისთვისაც პაკისტანელთა გულისწყრომა დაიმსახურა. ტესტ-კრიკეტში ამგვარი დარღვევა წინა ჯერზე 1963 წელს მომხდარა.

*

პროფესიონალ მეგოლფეთა ევროპული ტურის მესამე შეჯიბრება – მადეირას ღია პირველობა, რომელიც ფუნშალში გაიმართა, მოიგო 32 წლის ესპანელმა სანტიაგო ლუნამ. მისი გამარჯვება იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ ლუნას ტურში მოღვაწეობა „ქედდიდ" ანუ საჭურველმტვირთველად დაუწყია – ურიკითა და აბგით სხვებს ყვანჯებს დაუტარებდა და მერელა დაუწყია გოლფის თამაში.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

ინდექსი 66441

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29; წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
ტექნიკური დირექტორი კოტე იაშვილი